

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

რუსთაველის გამზირი
ევროსაბჭოს ლავის
ქვეშ



A2

იუზეპო რადას
ველარ დაითხოვს

A7



პანდემია
ბარდაუვალია

A8



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

პი პი პი
პენის სადაზღვეო ჯგუფი

ამ ბრძოლას ვერც ერთი ოკუპანტი ვერ შეაჩერებს

დათო გაჩისონია

"ევროპის სახალხო პარტიამ" ვარშავაში კონგრესი გამართა. მასში 3000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის იყო ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ, აგრეთვე ნიკოლა სარკოზი და ანგელა მერკელი. ევროპის სახალხო პარტიის" კონგრესს დაესწრნენ წევრი პარტიებისა და ასოციაციის წარმომადგენლები. ფორუმზე სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

სიტყვით გამოსვლამდე, საქართველოს პრეზიდენტი წარადგინეს, როგორც ლიდერი, რომელმაც ძალიან ბევრი იმუშავა თავის ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებისთვის. მიხეილ სააკაშვილმა ევროპულ ლიდერებს ასე მიმართა: ჩვენ დაგვსაჯეს იმისთვის, რომ ვაშენებთ თანამედროვე სახელმწიფოს იქ, სადაც ამას არავინ მოელოდა. გარდა ამისა, ჩვენი დასჯის მიზეზი ჩვენ მიერ გატარებული პოლიტიკაა. კორუფცია მარადიული იყო კავკასიაში, თუმცა ჩვენ ის აღმოვფხვრით.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



მიხეილ სააკაშვილი ვარშავის კონგრესზე

AFP · 2009

სივი მშვიდობა რუსეთსა და ნატო-ს შორის

დიმიტრი ავალიანი

ფორმალური კავშირების აღდგენის მიუხედავად, ნატო-სა და რუსეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო იძაბება. ამის მიზეზი, საქართველოში დაგეგმილი ნატო-ს წვრთნების გარდა, რასაც მოსკოვი ვერაფრით ეგუება, ალიანსიდან ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი რუსი დიპლომატების გაძევებაც გახდა. ბრიუსელმა ასევე დაგმო მოსკოვის მიერ სოხუმთან და ცხინვალთან სასაზღვრო ხელშეკრულების გაფორმება. რუსეთი სამშვიდობო შეთანხმებებს არღვევს, მასთან მოლაპარაკებისას საქართველოს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება, - აცხადებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლები.

"როგორც არ უნდა ეცადონ სანინააღმდეგო ჩვენს დარწმუნებას, ნატო-ს წვრთნები ღია პროვოკაციას წარმოადგენს," - განაცხადა გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



ჭემს ავატურაი

ამ ბრძოლას ვერც ერთი ოკუპანტი ვერ შეაჩერებს

პირველი გვერდი

ვისჯებით, აგრეთვე, ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის, რადგან ყველას წარმოუდგენია, ამ რეგიონში ან დიქტატურა უნდა იყოს, ან ძალადობა და ქაოსი. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ქართველმა ხალხმა შეუძლებელი შეძლო, რადგან საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის დემოკრატიის სვლა თავისუფლებისთვის ბრძოლას ნიშნავს.

ამ ბრძოლას ვერც ერთი ოკუპანტი, ტანკი და ბომბი ვერ შეაჩერებს, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. ის მიიჩნევს, რომ ერთიანი ევროპა მსოფლიოს მშვიდობის გარანტიაა. მან აგვისტოს ომის დროს ევროპის მიერ გამოხატულ პოზიციებზე გაამახვილა ყურადღება და რუსეთის აგრესიის შეკავებაში ევროპის როლის შესახებ ისაუბრა. საქართველოს პრეზიდენტმა ვარშავაში სიტყვით გამოსვლისას აგვისტოს ომზე გაიხსენა.

რუსეთი რამდენიმე დღის განმავლობაში 200 თვითმფრინავით ბომბავდა საქართველოს, მაგრამ ჩვენი ქვეყანა მინც ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი დღემდე ოკუპირებულია. პროვოკაციები ხდება ახლაც, როდესაც აქ ვსაუბრობთ. ამიტომ მინდა, გითხრათ, რომ საფრთხე დღესაც გვემუქრება. რუსული ტანკები თბილისიდან, სულ რაღაც, 40 კილომეტრში დგანან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას და საქართველო კავკასიაში სამაგალითოა, -

განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტმა ევროპას რუსეთზე ზეწოლისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. 15-ნუთიანი გამოსვლის მეორე ნაწილი პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპის მხრიდან საქართველოსადმი გამოჩენილ ერთსულსა და მეგობრულ დამოკიდებულებას დაუთმო. მინდა, მაგალითად გადავიხადოთ ევროპის მხრიდან გამოჩენილი სოლიდარობისთვის. გასულ წელს ჩვენ ვიგრძობდით, რომ ევროპა ჩვენ გვერდით დგას. რუსული ბომბების საფრთხეების მიუხედავად, ლიტვის პრემიერი ჩვენ გვერდით იყო. როცა კრემლი აეროპორტის დაბომბვით იმუქრებოდა, მან თქვა, რომ აეროპორტში იქნებოდა. აგრეთვე, განაცხადა, რომ მზად იყო, თავი გაენიშა საქართველოს თავისუფლებისთვის, რათა მთელ მსოფლიოს დაენახა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში, - აღნიშნა სააკაშვილმა. პრეზიდენტმა გაიხსენა დაბომბილ შოსპიტალში მყოფი ევროპელი მინისტრები, აგრეთვე ევროპის იმ ხუთი ქვეყნის ლიდერი, რომლებმაც თვითმფრინავის ჩამოგდების საფრთხის მიუხედავად, აგვისტოში თბილისში ჩამოსვლა გადაწყვიტეს.

საქართველოს პირველი პირის სიტყვით გამოსვლა დადებითად შეაფასეს კონგრესზე მყოფმა სხვადასხვა დელეგაციის წევრებმა. პოლონელმა დელეგატმა ჟან კოზლოვსკიმ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი და შთაბეჭდილი იყო. მისმა სიტყვამ დიდი მხარდაჭერა

პოვა ჩვენი კონგრესის მონაწილეებში. ვიმედოვნებ, რომ საქართველო მუდამ იქნება ჩვენი პარტნიორი და ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს. ხოლო, გერმანიის დელეგაციის წევრ ბერნ პეტრიშის შეფასებით, ეს იყო ჭეშმარიტად პროევროპული ლიდერის განცხადება. საჭიროა, რომ ევროპა საქართველოს დაეხმაროს რუსული აგრესიის შეჩერებასა და ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხში. ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ემოციური გამოსვლა დამატებით გზავნილი იქნება ევროპისათვის, რომ საქართველოს რეფორმებისთვის მხარდაჭერა გააგრძელოს. რაც შეეხება ევროკომისიებს, რომლებიც შეადგენს კონკრეტულ საკითხებს დაუთმო ყურადღება. მისი თქმით, ევროპა საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით დაუჭერს მხარს.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას დაესწრო საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე. ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას რაიმე შეცდომა დაუშვა. მან ყურადღება საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის მომავალზე გაამახვილა, თუმცა საქართველოს მომავალზე ზრუნვა არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ რეალური ქმედებით უნდა მოხდეს, - განაცხადა ქრისტინა-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა.

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა კონგრესზე სიტყვით გამოსვ-

ლა დაასრულა, იგი პოლონეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შეხვდა. მოხარული ვარ, რომ ხანგრძლივი შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა პოლონეთში შედგა. ჩვენ ვისაუბრეთ ევროკავშირის მხრიდან საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე. რაც შეეხება პოლონეთს, უნდა ითქვას, რომ ჩემი ქვეყნისთვის საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია და ყოველთვის ასე იქნება, - განაცხადა სააკაშვილთან ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ პოლონეთის პრეზიდენტმა ლუბ კაჩინსკიმ. პრეზიდენტებმა რუსეთ-საქართველოს ომზეც იმსჯელეს. კაჩინსკიმ აღნიშნა, რომ აგვისტოში რუსეთმა საქართველოზე ინტერვენცია მოახდინა. საქართველოში არაერთხელ ნამყოფმა პოლონეთის პრეზიდენტმა 2008 წლის 23 ნოემბერს კონფლიქტის ზონასთან მომხდარი ინციდენტზეც გაიხსენა. იმ დღეს, როცა ჩვენს კორტეჟს ესროლეს, ახალგორისკენ წასვლის გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღეთ და მიმართეთ, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ჩემი თვალთ ვნახე აგრესია შეიარაღებული რუსი ჯარისკაცების მხრიდან, - განაცხადა ლუბ კაჩინსკიმ. ვარშავაში მიხეილ სააკაშვილი პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალ ტუსკსაც შეხვდა. პოლონეთის მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა იქნება საქართველოს ლობი ევროკავშირში განვერიანების დროს.

ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე საქართველოს პრეზი-

დენტის სიტყვით გამოსვლა თბილისშიც შეფასეს. 24 საათთან საუბრისას ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა კახა გოგოლაშვილმა აღნიშნა, რომ სააკაშვილის ყოველთვის ჰქონდა რეფორმატორის იმიჯი, მას ვერავინ დაუკარგავს იმ რეფორმებს, რაც მისი მმართველობის პერიოდში გატარდა საქართველოში. არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში 5 წლის განმავლობაში ცოტა რამ გაკეთდა. ასე რომ, ამ თვალსაზრისით მას ბევრი აქვს სათქმელი. გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო აზრის კონსოლიდაცია სურს. ექსპერტმა გაიხსენა 2007 წლის 7 ნოემბერი, 2008 წლის აგვისტოს ომი და მასთან ერთად, საქართველოში დღეს არსებული კრიზისი. კახა გოგოლაშვილის აზრით, ეს ყველაფერი ევროპაში აღვივებს აზრს, რომ სააკაშვილი ავტორიტარული ლიდერია, ხოლო საქართველოში გატარებული დემოკრატიული რეფორმები ზედაპირული იყო და ქვეყანა კვლავ ტოტალიტარული სისტემის ნარჩენებში დარჩა. პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ აზრის გაქარწყლება და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. ამასთანავე, სააკაშვილი ცდილობს ევროპის ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან დაკარგული მხარდაჭერის აღდგენას. ასეთი დამოკიდებულება, ძირითადად, აგვისტოს ომით არის გამოწვეული, - მიიჩნევს გოგოლაშვილი.

სივი მშვიდობა რუსეთსა და ნატო-ს შორის

პირველი გვერდი

მისი თქმით, არ შეიძლება სწავლების ჩატარება იქ, სადაც ომი იყო". მედვედევმა ლა მუქარითაც გამოვიდა და განაცხადა, რომ შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიმღებთ დაეკისრება.

ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება თბილისში ქვეყნის რემილიტარიზაციისა და სამხედრო კომპონენტების უაზრო ზრდის კურსის მხარდაჭერად მიიღონ, ჩვენ მიერ შეფასდება, როგორც ზომები, რომლებიც გასული წლის აგვისტოში შეთანხმებულ ექსპუნიქტიან გეგმას ეწინააღმდეგება, - ეს განაცხადა მედვედევმა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმების ლიდერებთან სერგეი ბაგაფთან და ელუარდ კოკოითთან ერთად, საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე გააკეთა. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარი მესაზღვრეების ჩაყენების გაფორმებისას რუსეთმა სამშვიდობო შეთანხმების დარღვევაში საქართველო აქეთ დაადანაშაულა.

კოკოითთან და ბაგაფთან რუსეთის მიერ შეთანხმების გაფორმებას მწვავე რეაქცია გუშინ სწორედ ნატო-ს მხრიდან მოჰყვა. ალიანსის ოფიციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაის განცხადებით, კოკოითთან და ბაგაფთან საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ დოკუმენტის გაფორმება 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბერს გაფორმებული სამშვიდობო შეთანხმებების დარღვევას წარმოადგენს.

ალიანსის მიმართ მუქარით რუსეთის პრეზიდენტი მას შემდეგ გამოვიდა, რაც აგვისტოს ომის შემდეგ, ბრიუსელში, რუსეთი-ნატო-ს საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. საბჭოს სხდომაზე ალიანსმა კიდევ ერთხელ უთხრა უარი რუსეთის საქართველოში დაგეგმილი ნვრთნების გადაღებაზე. როგორც სხდომის შემდეგ ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ



ნატოს წევრებს მედვედევი მარიონეტების სპექტაკლით პასუხობს

განაცხადა, მხარეებმა ნატო-რუსეთის პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველოში დაგეგმილი სწავლებების შესახებ თავიანთ პოზიციას არ შეცვლიან. სხდომამდე ერთი დღით ადრე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა რუსეთის ოფიციალურად, წერილობით აცნობა, რომ საქართველოში დაგეგმილი ნვრთნების გაუქმებისა და გადაღების შესახებ მოსკოვის თხოვნას უარით პასუხობს და მანევრებზე რუს დამკვირვებლებს ელოდება.

საბჭოს სხდომაში ალიანსის 28 ქვეყნის ელჩი და რუსეთის წარმომადგენელი ნატო-ში დმიტრი როგოზინი მონაწილეობდნენ. როგორც როგოზინმა სხდომის

შემდეგ განაცხადა: ცივი ომი ცივმა მშვიდობამ შეცვალა. ელჩი აშკარად უკმაყოფილო ჩანდა და ისიც აღნიშნა, რომ ნატო ბრმა მარტორქას ჰგავს და ამ მხრივ პრობლემას ის წარმოადგენს, ვინ აღმოჩნდება ამ ტლანქი არსების გვერდით.

იმავდროულად, ალიანსის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ რუსეთთან, საქართველოში დაგეგმილი ნვრთნების გარდა, სხვა საკითხებიც აქეთ განსახილველი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხებს, რომლებზეც დისკუსიამაც შეიძლება შედეგები მოიტანოს და არა გაყინულ უთანხმოებებსა და ფილოსოფიურ დავებს, - განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

როგორც სხდომის დაწყებამდე რუსულ გაზეთ კომერსანტს ნატო-ს აპარატში განუცხადეს: ბრიუსელი მზად არის, რუსეთთან ურთიერთობა განახლოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს თემა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი დაინვივებას მიეცემა და დღის წესრიგიდან მოიხსნება.

ნატო ეუბნება რუსეთს - დიას ან, უფრო სწორად - დიას, მაგრამ, - მოჰყავს რუსულ გამოცემას ჯეიმს აპატურაის სიტყვები.

საქართველოში ნატო-ს წვრთნების ჩატარების მონაწილედვე მოსკოვმა, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ვერაფერს გახდა, დსთ-ს წევრ სახელმწიფოებზე დაიწყო ზეწოლა, რათა მათ წვრთნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ. ეს მცდელობა ნაწილობრივ წარმატებული გამოდგა - ყაზახეთის შემდეგ მანევრებში მონაწილეობაზე უარი მოლდოვამ თქვა. ამ შემთხვევაშიც - ყოველგვარი განმარტების გარეშე.

თუმცა, მოსკოვში განსაკუთრებული აგრესია მომავალ წვრთნებში რუსეთის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირისა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრის სომხეთის მონაწილეობამ გამოიწვია. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე დღის წინ სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ, არც ერთ მათგანს ნატო-ს წვრთნებში სომხეთის მონაწილეობის საკითხზე საჯაროდ არ უსაუბრა. მოგვიანებით კი ერევანს ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე კლაუდიო ბიზონერო ეწვია. სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მას განუცხადა, რომ ევროპული მიმართულება ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის პრიორიტეტულია. მეტიც, სარგსიანმა აღნიშნა, რომ პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში ნატო-სთან თანამშრომლობა სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ალიანსთან ურთიერთობების მნიშვნელობაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა

ილჰამ ალიევმაც ისაუბრა, რომელიც ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ალიანსის გენერალურ მდივანთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ აზერბაიჯანსა და ნატო-ს შორის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება და ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ალიანსის სხვადასხვა პროგრამებში, მათ შორის პროგრამაში პარტნიორობა მშვიდობისათვის.

სწორედ რუსეთი-ნატო-ს საბჭოს მუშაობის განახლებას დაემთხვა ალიანსსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში ახალი სკანდალი, რომელიც ამ ურთიერთობების განწვევების კიდევ ერთი საბაზი გახდა. გაზეთ "ფაინანსენალ თაიმსის" ინფორმაციით, ნატოს შტაბ-ბინიდან ორი რუსი დიპლომატი გააძევეს, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში არიან ექვმიტანილი. ერთ-ერთი გაძევებული დიპლომატი ევროკავშირში რუსეთის სპეცნარმომადგენელ ვლადიმერ ჩიუჟოვის შვილია.

გამოცემა ნატო-ს ამ დემარშს ესტონეთში მომხდარ ჯაშუშურ სკანდალს უკავშირებს. კერძოდ, ესტონეთის ხელისუფლებამ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი გერმან სიმი რუსეთის სასარგებლოდ შპონაჟში დაადანაშაულა. მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ნატო-დან დიპლომატიების გაძევების ფაქტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ - უხეში პროვოკაცია, ხოლო მათი გაძევების მიზეზს - აბსოლუტური სიცრუე უწოდა. ეს აღმამფთობელი აქცია ძირითადად ეწინააღმდეგება ნატო-ს ხელმძღვანელობის განცხადებებს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ, - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყებამ.

იუზენკო რადას ვედარ დაითხოვს

პრეზიდენტის არჩევის თარიღი ისევ გაურკვეველია



ვიქტორ იუშენკო

ივა ზილაკაძე

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტ იუშენკოს ერთ-ერთ კითხვაზე - არის თუ არა საჭირო ახალი (უფრო სწორად, "რესტავრირებული") კოალიციის მიერ პრეზიდენტის ხელახალი წარდგენა - უკვე გასცა პასუხი, თუ, რა თქმა უნდა, ამას პასუხი ჰქვია. საკონსტიტუციო სასამართლო შეეცადა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, ცალსახად არც ერთი პოლიტიკური ძალისთვის არ დაეჭირა მხარი. მოსამართლეები აცხადებენ, რომ მათ არა აქვთ პასუხი პრეზიდენტის კითხვაზე, რამდენადაც პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე თვით კონსტიტუციაში არ არის. ასეთი პასუხი ორივე მხარემ, იგულისხმება პრეზიდენტის ადმინისტრაცია და მთავრობა, თავის გამარჯვებად გამოაცხადა, მაგრამ მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს რეალურად პრეზიდენტ იუშენკოს დამარცხებაა.

საქმე ის არის, რომ უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ისედაც ცოტა შერყეული ჰქონდა რეპუტაცია პრეზიდენტ კუჩმას დროინდელი გადაწყვეტილების გამო, როცა მაშინდელ მოსამართლეებს მეორე და მესამე ვადა ერთმანეთში "აერიათ". სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტ იუშენკოს კითხვა ახალი კოალიციის მიერ პრეზიდენტის ხელახლა წარდგენის შესახებ, უკვე არაკორექტული იყო, რადგან "წინა" კოალიციის მიერ წარდგენილი პრეზიდენტი იულია ტიმოშენკო და მისი მთავრობა არ გადამდგარა - უბრალოდ, კოალიცია შეივსო ახალი წევრებით (იგივე

ლიტვინის ბლოკი) მას შემდეგ, რაც რიგი დეპუტატების (და არა პარტიის) გასვლის გამო კოალიცია უმაღლეს რადაში უმრავლესობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დღეს საკონსტიტუციო სასამართლომ კი თავისი ასეთი "გაურკვეველი" პასუხით იუშენკოს, უბრალოდ, ზრდილობიანად უთხრა უარი.

პრეზიდენტის მეორე კითხვის (საპრეზიდენტო არჩევნების ვადა) განხილვა კი საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ ორი დღის წინ, სარჩელის შეტანიდან 20 დღის შემდეგ დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მას გრიფი "სასწრაფო" ჰქონდა მინიჭებული. საკონსტიტუციო სასამართლოს საკითხის გადასაწყვეტად თუ საქმის განხილვის დასაწყებად 18 ნეკრიდან 10 ხმის მოგროვება "უჭირს". ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ვერდიქტის გამოტანას, მინიმუმ, თვენახევარ - ორ თვეს "გაჭიმავს", ამასობაში კი საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებაც აზრს დაკარგავს. მით უმეტეს, რომ საქმე "სულ რაღაც" სამოედ თვეს ეხება.

დღეს სიტუაციას ისეთი პირი უჩანს, რომ რეგიონების პარტიისა და იულია ტიმოშენკოს ბლოკის შესაძლო ალიანსი და შესაბამისად საკონსტიტუციო ცვლილებები არ შედგება, რაც ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევას და პრეზიდენტის პარლამენტში არჩევას გამოიწვევს. თვითონ რეგიონების პარტიის წარმომადგენლები ამ იდეას სერიოზულად არ უყურებენ (იგივე ტარას ჩორნოვილი) და საკუთარი ლიდერის განწყობის ხშირ ცვლილებაზეც საკმაოდ თამამად

ხუმრობენ. გუშინ ტიმოშენკოს ბლოკის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა უმაღლეს რადაში ივან კირილენკომაც განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის დრო უკვე ხელიდან არის გაშვებული და ამის ნაჩქარევად გაკეთებას აზრი არა აქვს. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზრს კარგავს ფართო კოალიციაც, რომელმაც საკონსტიტუციო უმრავლესობა უნდა უზრუნველყოს. თუმცა ქვეყნის საპარლამენტო მოწყობას ბევრი პოლიტიკოსი უჭერს მხარს.

დამოუკიდებელი ექსპერტებიც საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი ფართო კოალიციის მიმართ, თუმცა მისი შექმნის ალბათობა მთლიანად გამორიცხული მაინც არ არის.

წარსულში გავლენიანი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი ალექსანდრ ვოლკოვი (ერთ-ერთი ოლიგარქი კუჩმას "კარზე") მიიჩნევს, რომ ფართო კოალიციის შემთხვევაში მხოლოდ რეგიონების პარტია დარჩება მოგებული, რადგან ისინი პარლამენტში დააყენებენ და გაიტანენ საკუთარ ანტიკორუფციულ წინადადებას, პრეზიდენტი იანუკოვიჩი ხდება და, რაც მთავარია, ისინი არ ღალატობენ საკუთარ ამომრჩევებს. ტიმოშენკოს შემთხვევაში კი საქმე სულ სხვაგვარად არის. ის ინარჩუნებს მხოლოდ პრემიერის პოსტს, ისიც მცირე დროით - შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც, სავარაუდოა, რომ მაინც ვადამდე გაიმართება. ასეთ შემთხვევაში კი ტიმოშენკო არჩევნებს აუცილებლად წააგებს, რადგან იგი პოზიციის ასეთი მკვეთრი ცვლილებით თავის ამომრჩევებს ღალატობს. მან შეიძლება ყველაფერი დაკარგოს. მოგებული დარჩება მზარ-

დი რეიტინგის მქონე ახალგაზრდა არსენი იაცენიუკი, რომელიც ადვილად გავა მეორე ტურში. პრეზიდენტი რომც ვერ გახდეს, დიდი ფარაქციით შევა პარლამენტში და უკეთეს შემთხვევაში პრემიერი გახდება, უარეს შემთხვევაში - პარლამენტის თავმჯდომარე, აქედან კი ერთი ნაბიჯია უკრაინის პრეზიდენტობამდე, ცხადია - შემდეგ არჩევნებში.

ამ დღეებში კვლავ გამოქვეყნდა მორიგი სოციოლოგიური გამოკითხვები, რომელთა თანახმადაც, სიტუაცია კარდინალურად არ არის შეცვლილი, თუმცა ბოლო თვეებში გამოკვეთილი ტენდენციები სახეზეა. პირველ ადგილზე კვლავ იანუკოვიჩია - 22-25 პროცენტი, მეორეზე ტიმოშენკო - 15-16 პროცენტი, მესამეზე იაცენიუკი - 13-15 პროცენტი. იუშენკოს რეიტინგი, დაახლოებით, 2-3 პროცენტია, რაც სო-

ციოლოგიური გამოკითხვის დაგეგმილ "უზუსტობის" ჩარჩოებში მთლიანად ეტევა.

იანუკოვიჩი, მართალია, სტაბილურად ინარჩუნებს რეიტინგს და პირველ ადგილს, მაგრამ მისი გავლენა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის გარეთ არ ვრცელდება. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუცხადებია ტიმოშენკოს. ამ შემთხვევაში მისი ელექტორატის უმრავლესობა იაცენიუკის მხარეს აღმოჩნდება. თანაც იაცენიუკს გარკვეული რაოდენობის მომხრეები მთელ უკრაინში ჰყავს, მათ შორის - სამხრეთ-აღმოსავლეთში. ანუ დღევანდელმა რეიტინგებმა შეიძლება მეორე ტურში არ იმუშაოს, გააჩნია ვინ აღმოჩნდება იქ - იანუკოვიჩი-იაცენიუკი თუ იანუკოვიჩი-ტიმოშენკო.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

აცხადავს მიღებას

დოქტორანტურაში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელთ „ქართული უნივერსიტეტი“ სთავაზობს საუნივერსიტეტო განათლების მესამე საფეხურის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს

საგანმანათლებლო პროგრამა	მისაჩვენებელი აკადემიური ხარისხი	პროგრამის ხელმძღვანელი
ქართული ენა	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	ავთანდილ არაბული
ქართული ლიტერატურა	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	გრიგორ ფარულავა
არქეოლოგია	ისტორიის აკადემიური დოქტორი	დიმიტრი ახვლედიანი
საქართველოს ისტორია(უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე)	ისტორიის აკადემიური დოქტორი	როინ მეტრეველი, ვახტანგ გურული
თარგმანითმოდუნობა	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	გიორგი ალიბეგაშვილი
კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირება	კომპიუტერული მეცნიერებების აკადემიური დოქტორი	დავით გორდეზიანი, შამლუქ მელაძე
ველის კვანტური თეორია და ელემენტარული ნაწილაკთა ფიზიკა	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	ანზორ ხელაშვილი, ალექსანდრე კვინიხიძე
ეკონომიკა (ეკონომიკური თეორია-ეკონომიკის, ეკონომიკური ანალიზი)	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი	მიხეილ ვიზუტი
ეკოლოგია და გარემოს დაცვა	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	ვახტანგ გვახარია
მცენარეთა ბიოლოგია	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	გიორგი ალექსიძე, ნუგზარ ალექსიძე
ქვეყანათშორისეკონომიკა	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	თემურ ნანიეშვილი

საუნივერსიტეტო განათლების მესამე საფეხურზე სწავლების წლიური ღირებულება არის 3000 ლარი.

სწავლების ღირებულების 50%-ს აფინანსებს საქართველოს საპატრიარქო.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV), სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, პირადობის მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, 4 ფოტოსურათი (3X4), გამოქვეყნებული შრომების სია (შრომების ქსეროასლი), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა(სათანადო დასაბუთებით).

საბუთები მიიღება 2009 წლის 4 მაისიდან 6 ივნისამდე

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25 83 43/46
მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 53ა

ინფორმაციას სათანადო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი ხელმძღვანელების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ვებგვერდზე

www.sangu.ge

პანდემია გარდაუვალია

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია საფრთხის მარცხენებს ზრდის

მარია იაშვილი



AFP - 2009

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გადამწყვეტილებით, ლორის გრიპის გავრცელების საფრთხის მარცხენებელმა ექვსი შესაძლო დონიდან მეხუთეზე აიწია, რაც პანდემიის მოახლოების საფრთხეს ნიშნავს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელი კეიტი ფუკუნდა რამდენიმე დღის განმავლობაში აცხადებდა, რომ სხვადასხვა ქვეყნების მეთაურების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ვითარება ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით სულ უფრო უარესდება.

საფრთხის მარცხენების ამალეებისა და ვირუსის პანდემიად გამოცხადების გადამწყვეტილება ორგანიზაციამ მას შემდეგ მიიღო, რაც აშშ-ში გრიპით დაავადების პირველი ლეტალური შემთხვევა დაფიქსირდა.

ამერიკაში, ტეხასის შტატში, დაავადებით ორი წლის ბავშვი გარდაიცვალა. ეს მექსიკის ფარგლებს გარეთ პირველი მსხვერპლია იმ საშობო ვირუსისა, რომელმაც თავად მექსიკაში შესაძლოა 159 ადამიანის სიცოცხლე შეინარა.

ამერიკის ხელისუფლების განცხადებით თანხმად, ტეხასში ბავშვი მექსიკიდან, დედასთან ერთად, შაბათს ჩავიდა. სულ მალე მას გრიპის ნიშნები აღმოაჩნდა, ორშაბათს კი ჰიუსტონის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აშშ-ს ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა გაფრთხილებას იძლევა, რომ ვირუსი შესაძლოა, სხვა დაავადებულთა გარდაცვალების მიზეზიც გახდეს.

ლორის გრიპით დაავადების შემთხვევების კვლევას ექიმები ევროპაშიც განაგრძობენ.

ბოლო მონაცემების თანახმად,

დიდ ბრიტანეთში გრიპის დიაგნოზი კიდევ სამ ადამიანს დაუსვეს, მათ შორის არის 12 წლის გოგონაც, რომლის სკოლაშიც კარანტინი გამოცხადდა.

ლორის გრიპით დიდ ბრიტანეთში უკვე ხუთი ადამიანი დაავადებული. ყველა მათგანი საავადმყოფოში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ქვეყნის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის განცხადებით, მკურნალობას ექვემდებარება.

ექიმები ამბობენ, რომ ყველა დაავადებული ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა დაავადების ეპიცენტრიდან - მექსიკიდან.

ამავდროულად ესპანეთში დაფიქსირდა ისეთი ადამიანის დაავადება, რომელიც მექსიკაში თვითონ არ ყოფილა, მაგრამ ურთიერთობა ჰქონდა მეგობარ ქალთან, რომელიც ამ ლათინოამერიკული ქვეყნიდან ახლახანს დაბრუნდა. ეს მექსიკის ფარგლებს გარეთ ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის პირველი შემთხვევაა.

გასულ კვირას საფრანგეთში რამდენიმე ბორტგამცილებელმა და ეარფრანსის მთელმა ეკიპაჟმა უარი თქვა პარიზი-მეხიკოს რეისის შესრულებაზე.

იმ ქვეყნების სიას, რომლებშიც დაავადება გამოვლინდა, გერმანიაც მიემატა, სადაც H1N1 ვირუსით დაავადების სამი შემთხვევა დადასტურდა.

უენევაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის საგანგებო სხდომაზე საფრთხის მარცხენების გაზრდის შესახებ განცხადების გაკეთებისას ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა მარგარეტ ჩანმა ქვეყნებს ვირუსის წინააღმდეგ მიმართული გეგმების განხორციელებისკენ, პირველ რიგში კი - სამედიცინო კონტროლის გაძლიერებისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, ზომების მიღება განსაკუთრებულად სწრაფად უნდა მოხდეს.

“მოცემული მომენტისთვის კაცობრიობა პანდემიის საფრთხის

წინაშე იმყოფება,” - განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ ლორის გრიპის სიმპტომები ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი გრიპის სიმპტომებს: სიცხე, ხველება, კუნთების ტკივილი, სახსრებში მტკრევა და სისუსტე.

ვისაც მსგავსი სიმპტომები აღმოაჩნდება, ექიმები სთხოვენ, ექიმი სახლში გამოიძახონ და ქუჩაში გასვლისგან თავი შეიკავონ, რათა ვირუსის გავრცელების საფრთხე მინიმუმდე იქნეს დაყვანილი.

ყველას, ვინც თავს კარგად გრძობს, მაგრამ ბოლო დროს მექსიკაში ან მის მეზობელ რომელიმე ქვეყანაშია ნამყოფი, პროფილაქტიკის მიზნით სამედიცინო კონტროლის გავლა დაუყოვნებლივ მოეთხოვება.

დაავადებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა - 64 ადამიანი აშშ-შია რეგისტრირებული.

დაავადებულთა რაოდენობა გაი-

რუსეთს სამთავრობო ცვლილებები ელოდება

მარია იაშვილი

საკონსულტაციო კომპანია “ევრაზია გრუპი” რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ეკონომიკური კრიზისის გავლენის შესაძლო შედეგებს შორის ვლადიმირ პუტინის კრემლში დაბრუნებასა და ქვეყნის რეგიონებში მასობრივი მღელვარების დაწყებას ასახელებს.

ამავდროულად, მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ მოვლენათა ასე განვითარების შანსი 20 პროცენტია.

ამერიკული კომპანიის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სულ უფრო მზარდი უმუშევრობა და რეალური შემოსავლის შემცირება გაზაფხულსა და ზაფხულში ხალხში მღელვარებას გამოიწვევს. საკონსულტაციო კომპანიის სცენარის მიხედვით, მღელვარება ურალის რეგიონსა და ციმბირში დაიწყება, შემდეგ კი დიდ ქალაქებში, მათ შორის მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გადაინაცვლებს.

ამ ყველაფრის შედეგად კი, როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ, ძალოვანები და ფრაქცია “ედინაია რასია”, დეპუტატებისა და “კომუნისტების” მხარდაჭერით, ეცდებიან პუტინის ხელისუფლებაში მყოფი წამყვანი ლიბერალების - ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინისა და პირველი ვიცე-პრემიერის იგორ შუვალოვის გადადგომას მიაღწიონ.

“ევრაზია გრუპის” ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ყველაფერს შემოდგომაზე პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის გადადგომა მოჰყვება

და მის ადგილს კრემლში ვლადიმირ პუტინი დაიკავებს.

ამის შემდეგ, ექსპერტთა სცენარის მიხედვით, “ედინაია რასია” თავისი რიგებიდან ლიბერალებს მოიშორებს და სახელმწიფო სათათბიროში საკონტრტუციო უმრავლესობას მიიღებს.

ამ დროს კი ეკონომიკური პოლიტიკა უფრო ავტორიტარული გახდება და უცხოელი ინვესტორებისთვის რისკის ფაქტორი მკვეთრად აიწევს. ამ შემთხვევაში “ევრაზია გრუპის” ექსპერტები საფონდო ბირჟის კრახსა და ინვესტიციების შემცირებას წინასწარმეტყველებენ.

რეგიონებში ვითარება გამწვავდება - შედარებით მდიდარი რეგიონები ეცდებიან, მოსკოვისგან ავტონომია მოიპოვონ, ხოლო სასაზღვრო რეგიონები სხვა ქვეყნების ან სხვა არასახელმწიფო ძალების ქვეშ მოქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.

საგარეო პოლიტიკის სფეროში, სცენარის მიხედვით, “ევრაზია გრუპის” ექსპერტები ევროპასა და აშშ-სთან დაახლოების პროცესის შეწყვეტას, უკრაინასა და საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებას, გაერო-სა და აშშ-სთან ირანის საკითხებში თანამშრომლობის შეწყვეტას და ავღანეთში დისლოცირებული ძალებისთვის ვაშინგტონის მხრიდან პოლიტიკური ან ეკონომიკური დათმობების გარეშე დახმარების განევაზე უარის თქმას ხედავენ.

გარდა ამისა, უკრაინის შემთხვევაში სპეციალისტები, უკრაინის ბაზარზე რუსული ბიზნესის გაფართოების და უკრაინის მიერ დასავლურ

ორგანიზაციებთან დაახლოებაზე უარის თქმის სანაცვლოდ, რუსეთის მხრიდან კიევისთვის ეკონომიკური დახმარების გაზრდის შესაძლებლობასაც განიხილავენ.

ექსპერტთა აზრით, უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო რუსეთისგან ხუთი მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის მიღებას შეეცდება. მოსკოვი კი ამის სანაცვლოდ უკრაინის გაზსადენების სისტემაში “გაზბრომის” მონაწილეობასა და სევესტოპოლში რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ბაზის მოქმედების ვადის გაგრძელებას მოითხოვს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ტიმოშენკოს ქმედებები გახდება მიზეზი პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მხრიდან მასთან თანამშრომლობისთვის უარის სათქმელად და რუსეთთან მის მოლაპარაკებებზე გამოძიების დასაწყებად.

ამასთანავე ოპოზიციური “რეგიონების პარტიის” ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი და პრეზიდენტი იუშჩენკო ტიმოშენკოს წინააღმდეგ გაერთიანდებიან.

მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შესაძლებლობას “ევრაზია გრუპის” ექსპერტები 15 პროცენტით აფასებენ.

“ევრაზია გრუპის” ვარაუდით, 30 პროცენტია იმის შანსი, რომ პაკისტანის ხელისუფლებაში სამხედროები მოვიდნენ. მოხსენებაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ საკონსულტაციო კომპანია არავის მოუწოდებს ამ სცენარის მიხედვით მოქმედებისკენ და მისი განხორციელების შესაძლებლობა არც ისე მაღალია.

თუმცა, როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, თუ ჯერ კიდევ ერთი წლის

წინათ მოვლენათა ასეთი განვითარების შანსი ბევრად ნაკლები იყო, ახლა ის 10 პროცენტად 30 პროცენტამდე გაიზარდა და უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაიზარდება.

რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, კრიზისის გამო რუსების მღელვარების დონე თანდათან მცირდება.

გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, კრიზისის სხვადასხვა მიზეზთა გამო რუსების 82 პროცენტს ალექსეი კუდრინისა და პირველი ვიცე-პრემიერის იგორ შუვალოვის გადადგომას მიაღწიონ. “ევრაზია გრუპის” ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ყველაფერს შემოდგომაზე პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის გადადგომა მოჰყვება



სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

საქართველო

2009 წლის 1 მაისიდან სსიპ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო”-ს აუქციონების განცხადებები გამოქვეყნდება გაზეთ “აუქციონში”. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ და გავრცელდება საქართველოს მასშტაბით. მისი შექმნა შესაძლებელი იქნება საცალო რეალიზაციის ქსელში და გამოწერით.

რევოლუ



პარიზის "ოპერა გარნიეში" პარიზის საბალეტო აკადემიის აღსაზრდელებმა წარმოდგენა გამართეს. აკადემია ლუი XIV მიერ არის დაარსებული და მას შემდეგ მუშაობა ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტიათ. აკადემია პარიზშია და ის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საბალეტო სასწავლებელია დასავლეთ კულტურულ სივრცეში. პატარა ბალეტის მსახიობების წარმოდგენა "გარნიეში" კლასიკურ რეპერტუარს წარმოადგენდა, თუმცა ტრადიციულ პროგრამასთან ერთად თანამედროვე ქორეოგრაფების ნამუშევრებსც შესრულდა. პარიზის საბალეტო სკოლის წარმოდგენა "ოპერა გარნიეში" ფრანგი ბალეტომანებისთვის წლის ერთ-ერთ საინტერესო საღამოს წარმოადგენს.

ბიენალე სივლილზასიათა გზაჯვარედინზე

მეორე დღე

თაა იაკობაშვილი

“აჭარის ბიენალე არტ - ლაბორატორიის” პროექტის პრეზენტაციის მეორე დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარიმართა. მას შემდეგ რაც უნივერსიტეტის რექტორმა საზოგადოებას მონვეული სტუმრები გააცნო სიტყვით თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი გოგი ოჩიაური გამოვიდა.

ბატონმა გოგიმ დასვა კითხვა, თუ რატომ ქმნის ადამიანი ქანდაკებას და შემდეგ ქანდაკების განვითარების ისტორიისა და კონკრეტული მოქანდაკეების ნამუშევრების დახმარებით საკითხის განმარტება დაიწყო. ისაუბრა ქანდაკებაზე, როგორც ფიზიკურ ფორმაზე, მის წარმოქმნაზე, განვითარებასა და დეგრადაციაზე. მოქანდაკის მოხსენებამ დამსწრე საზოგადოების ინტერესი გამოიწვია, მას დისკუსიაც მოჰყვა. ბიენალეების მნიშვნელობაზე,

მის დანიშნულებასა და ადგილზე თანამედროვე ხელოვნების სისტემებში ისაუბრა ტურინის აკადემიის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნე ფრანჩესკო პოლიმ, რომელმაც ნაიკითხა ლექცია სახელწოდებით: ხელოვნების სისტემები”. ამავე თემაზე აქვს დაწერილი არაერთი ნაშრომი. ფრანჩესკო პოლი არის მილანის ბერას თანამედროვე ხელოვნების აკადემიის ლექტორი. ამასთანავე უამრავი კრიტიკული წერილისა და სტატიის ავტორია. მისი ნაშრომები შეეხება ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობებს და მათ წარმომადგენლებს. მათ შორის არიან ისინი, რომელთა სახელებიც ისტორიაშია შესული.

ამჯერად იტალიელმა ხელოვნებათმცოდნემ ისაუბრა ბიენალეს ტიპის ფესტივალების სპეციფიკაზე და მოიგონა 1895 წლის მსოფლიოში პირველი ვენეციური ბიენალეს ისტორია. იტალიელი მეცნიერის თქმით, საერთაშორისო ღონისძიების წარმოშობის აუცილებლობა გა-



ნაპირობა იმ ფაქტორმა, რომ რომელიცა ეტაპიდან ხელოვნების განვითარებისთვის საჭირო გახდა ახალი სტრუქტურა. სულ სხვა თემას შეეხო რომის ნა-

ტიფი ხელოვნების პროფესორი და მოქანდაკე ალფიო მონჯელი. აღმოჩნდა, რომ მისთვის საინტერესოა საქართველოს ის რესურსი, რომლის გამოყენებაც ჩვენს ქვეყანას სახე-

ლოვნებო სფეროში შეუძლია. აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია გაეჯიბროს ნებისმიერ ქვეყანას, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამგვარ ქვეყანაში ბიენალეს არსებობა. ამას გარდა, მომხსენებელმა წარმოადგინა თავისი ბოლო ნამუშევარი, რომელიც აუდიტორიას პირველად პეკინის ბოლო ბიენალეზე წარუდგინა.

ბათუმის ბიენალეს პროექტის პრეზენტაცია წარმატებით დასრულდა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ის დასახულ მიზნებს ასევე წარმატებით მიაღწევს, მიუხედავად მათი სირთულისა. ანუ სამომავლოდ მაინც წარმოაჩენს თანამედროვე ქართველი ხელოვნების ფართო სპექტრს და გზას გაუხსნის მათ შესაძლებლობებს, რეგიონს კი შესძენს საერთაშორისო მასშტაბის კულტურული ცენტრის სტატუსს.

კომენტარები მთავარზე



პრაზიციდენტის სიზმარი

ლაშა ბუღაძე

რამდენიმე დღის წინ ილია ჭავჭავაძე დასიზმრებია პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა საქართველოს პრეზიდენტს ილია ჭავჭავაძე ესიზმრება. ილია ორჯერ უნახავს სიზმარში პირველ პრეზიდენტსაც, და მეორე პრეზიდენტს, ბატონ ედუარდსაც კი უნახავს იგი, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ უცვნია, ვერ მიმხვდარა, ვინაა. ვიღაც მსუქანი კაცი დამესიზმრაო, ასე უთქვამს ჟურნალისტ ნ. ონიანისთვის. ამჟამინდელს კი პირველად მოვლინებია. ილია კარგად ყოფილა ინფორმირებული დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის შესახებ. სწორედ ამ კრიზისზე წაუკითხავს ლექცია პრეზიდენტისთვის: " მიხეილ, გენაცვალე", - უთქვამს ილიას, " იცოდე, ბევრად უფრო მეტი ხალხია შენდამი კრიტიკული, ვინც ეს მიტირებზე ჩანს. ხალხს ცვლილებები და სამართალი უნდა. წესიერ და პასუხისმგებლობის მქონე ხალხზე მოგახსენებ და არა მატყუარებზე და ორგულებზე... მიეცე ამ ხალხს ახალი საარჩევნო კოდექსი, დაჰკა პანდური ამჟამინდელ საარჩევნო კომისიას, რომლის მიმართაც ეგზომი უნდობლობაა, შეამცირებინე თავი, ვითარცა პრეზიდენტმა, რომ მომავალში მაინც არ გადაგაგდონ, დასთანხმდი ხელისუფლების დაბალანსებას და დემოკრატი ვარო, რომ გაიძახი, სრულყოფილი დემოკრატია იყავ მაშინ! ახალი პარლამენტიც მიაგებე ამ ხალხს... გულწრფელად მითხარი, წარმოადგენს დღევანდელი პარლამენტი ხალხს და მის განწყობებს? გეთანხმები, ვინც შესასვლელი იყო, უნდა შესულიყო, მაგრამ ვინც შევიდა, იმათ ხომ მთლად ნახადინეს პარლამენტის ავტორიტეტი... ვინაა ეს ხალხი? ხუთიოდ კაცის მეტს ვერავის ცნობენ? რას აკეთებენ? აკეთებენ რამე საქვეყნო საქმეს, რაც საგრძნობი და ხილულია? მიეცე ხალხს საშუალება, რომ ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლოს პოლიტიკამ! არ უნდა გაეზარდოს პარლამენტს უფლებები? ვაი და რამე სისულელე მოიფიქრო - კაცნი ხართ, გჩვევიათ, - არ უნდა გაგაჩერონ? არ უნდა შეგაფერხონ? პრემიერიც წამოიხიე! ეგებ ეს ექსპერიმენტიც გამატარო, რასაც კოალიციური მთავრობა ჰქვია? სად არის, აბა, სასამართლოს რეფორმა? რას მიკეთებს ამჟამინდელი მთავარი მოსამართლე? რა ჰქნა მან ისეთი, რაც სასამართლოს ავტორიტეტს ასწევდა? რა გააკეთა მან იმისათვის, რომ ხალხში მეტი ნდობა ყოფილიყო სასამართლოს მიმართ? რად მოაჯდნენ თავზე პროკურორები მოსამართლეებს? განა ვერ ხვდებიან, რომ ამით ძირს უთხრიან სამართალსა და შედეგად სახელმწიფოსაც? თქვი და გააკეთე: აჩუქე პირდაპირი წესით არჩევნისთვის განწირული მერი თბილისსაც და სხვა ქალაქებსაც! მეტი ნდობა იქონიე იმ ხალხის, ვინც გაკრიტიკებს, მაგრამ შენი პირადი მტერი არაა, მოუსმინე თუნდაც შესანიშნავი მხატვრის, ბატონ გია ბუღაძის ვაჟს, უნიჭიერეს ჯეელს, შეამცირებინე ხალხს თავი, ადეკვატური იყავ, თორემ მარტო თბილისის ცენტრი კი არა, როგორც თავად ამბობ, მთელი ქვეყანა შემოგდახებს მერე, ნადიო, მთელ ქვეყანას კი ვეღარ მოუგებ. წესიერ ხალხს ცვლილებები უნდა და არა ჩანაცვლებები! ისეთი ცვლილებები, სახელმწიფოს რომ წაადგეს და არა შენ! შენ ნახვალ და ეს ქვეყანა კი რჩება. მასზე მნიშვნელოვანი არა ხარ. შეუნარჩუნე ამ ქვეყანას სახე, რომ მანაც შეგინარჩუნოს იგივე. ეს მიტირებაც რომ არ დაარბიე, კარგი ჰქენი... მაგრამ ის ხალხიც რომ სახელმწიფოებრიობის მტერია, ვინც ჩუმ-ჩუმად სცემს დემოსტრანტებს, მაგას, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ ხვდები... არა უშავს, მიხვდები მაგასაც. მაგათ ჰგონიათ, ერთგულებას გიმტკიცებენ, სინამდვილეში მეტ და მეტ ხალხს აზიზლებენ შენს თავს. გინდა, რომ მხოლოდ მაგათი პრეზიდენტი იყო? ხომ არ გინდა? ხოდა, მოაშთე მაშინ! ბევრ სადისტს გადაეფარე ისედაც და კაი ჩიტაც დაიჭირე! სხვაც ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ დანარჩენზე მერე იყოს...

მეტი რა ვქნა, შენ დაგესიზმრე და არა იმ მესაკნეს, ამ დროს, ყოველამ მითხოვს, დამესიზმრეო... მაინც შენ გეცია ამ ეტაპზე პატივი. თუმცა გაფრთხილებ - კომარებსაც მოგივლენ, თუკი ჩემს ნათქვამს არ შეისმენ!"

მუსიკა, სიტყვა და ფერწერა

მზენა მახარაძე

"აღდგომიდან ამდღემდე" ეს არის ფესტივალი, როცა მსმენელები მუსიკის სიურეალისტურ დროში ერთიანდებიან, კლასიკის მეტაფორული ენა, თუნდაც მისტიკური ძალა ყველასთვის ერთნაირად გასაგები და რალაცნაირად გადამდები ხდება... ფესტივალს, რომელიც აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში დაიწყო და ამდღემდე დღესასწაულამდე გრძელდება, სიმბოლურად უნდობის ლოცვა-კურთხევა გაყვება: "კულტურა და ხელოვნება არის მუდმივი მზადყოფნა სხვისთვის სიხარულის მიზანიჭებლად, ზრუნვა მომავლისათვის... თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამდღეობაზე... ამ ფესტივალის მეშვეობით ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლების წარდგენა ქართული საზოგადოების წინაშე..."



დუდანა მაზმანიშვილი

დისთვის ვიზა".

მეორე დღე მუსკომედიის თეატრში პუბლიცისტურ დრამას - "ბედრეიერი ერი" დაეთმო (რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი)... და ამის შემდეგ ფესტივალი ისევ კლასიკურ მუსიკას გაჰყვა. ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ნასიძისა და სულხან ცინცაძის შემდეგ სრულდება "ინტროვერსია" - ფორტეპიანოს, სიმებიანი საკრავებისა და ერთი ზარისთვის. ეს თხზულება, რომელიც ნიკა მემანიშვილი დაწერა, თითქმის 30 წუთი გრძელდება და თემატური ბრძოლა გაჰყვება, თავისი წყობით კლასიკური ჰარმონიაა თანამედროვე ფლერალობით... ნიუ იორკის "Carnegie Hall", ბერლინის "Konzert Haus"-ის მერე ეს ინსტრუმენტული მუსიკა მუსიკალურ ცენტრში პირველად სრულდება... კამერულ ორკესტრს იპრონიიდან ჩამოსული დირიჟორი გიორგი ბაბუაძე ხელმძღვანელობს, ის პირველად ეხება ნიკას მუსიკას, ამბობს რომ "ამ მუსიკაში განსხვავებულ ხასიათს კითხულობს", ხედავს "მის ფერს, მოძრაობას და დროს". ამ ოპუსის სოლო პიანისტ დუდანა მაზმანიშვილს მიჰყავს. ნანარმოები ფორტეპიანოს სტიქიური პარტიით იწყება, დარბაზში კი იწყება "სულ სხვანაირი" მოსმენა...

კლავიშებზე დუდანას თითები ინსტრუმენტულ თხზულებას თითქოს "ხსნის და ხურავს", ურთულესი პასაჟების მიღმა ისმის ასიმეტრიული ფრაზები, "ინტელექტუალური" აკორდები... თემა სიმებიანებში ფართოვდება, მაგრამ მათ აჩუქებს ფორტეზე დუდანას ძლიერი აკორდი. მერე ამ ყველაფერს მოსდევს მსმენელების დიდი ოვაციები... მუსიკისგან მიღებული სიამოვნება, "ყველაზე მკაცრი მსმენელისგან" კი აპლოდისმენტები ნიკა მემანიშვილის კულისებში მიღმა დარჩენილ ნერვიულობად ექცა. აპლოდისმენტებზე ნიკა ყველაზე გვიან გამოდის... მანამდე კი სცენაზე ამ მედიტაციური მუსიკის ავტორს ორკესტრის შემადგენლობაში ძლიერს იპოვი, ის "ზარის მოკლე პარტიას ასრულებს", ნიკა ამბობს, რომ "ამ შემთხვევაში ეს მოლოდინების ფეხები უფრო მონონს", ვიდრე ორკესტრი მარტო: "ჩემთვის უფრო საინტერესოა როცა სხვა მუსიკოსების მიერ სრულდება ჩემი ნაწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ "ინტროვერსია" შესრულდა მესამედ და ამ ნაწარმოებმა ჯერ ნიუ იორკსა და შემდეგ ბერლინში მოიპოვა წარმატება, ჩემთვის როგორც ავტორისთვის ნამდვილი პრემიერა და ლამაზი ფრაზირებების მიღმა დარჩა, სამაგიეროდ "მიიღო გამოწვევა" და შემდეგი "გამოც-



გიორგი ხარაძე

პრემიერამდე, სანამ თავის "თავში ჩაიკეტებოდა" და მუსიკაზე ფიქრს დაიწყებდა, ახალგაზრდა პიანისტმა (რომელიც ნიუ იორკსა და ბერლინში მოღვაწეობს და რომელზეც დიდი ხანია საუბრობენ) მავსტროსთან ერთად რეპეტიცია გაიარა, "შენიშვნებიც მიიღო" და ჩვენთან საუბარში გაიხსნა...

- დუდანა, "ინტროვერსია" თქვენთვის დინერა, მხოლოდ თქვენ ასრულებთ, და მაინც, პირველად რომ მოისმინეთ როგორ აღიქვით ეს მუსიკა? რამდენად დაგინდოთ ნიკამ?

- ნიკამ ამოსუნთქვის საშუალება არ მომცა, ძალიან რთულია, მაგრამ პირველი სიხარული იყო როცა ნოტები გადავამლე, მერე ძალიან ვაგვრავდი, ეს რა დამინერა, სასწაულად ძნელი-მთქი - "კარნეგი ჰოლის" კონცერტამდე სულ 5 დღე მქონდა დარჩენილი... თავიდან ეს იყო საფორტეპიანო პიესა, ანუ მხოლოდ პირველი ნაწილი - "ინტროვერსია", მაგრამ ბერლინისთვის ნიკამ გააკეთა სხვა რედაქცია კამერული ორკესტრისა და ფორტეპიანოსათვის, მიუმატა კიდევ ორი ნაწილი "ექსტრავერსია" და კოდა. პირველ 5 ნოტში, როცა ვიწყებ დაკვრას, სულ მესმის ნიკას სიტყვები, რადგან როცა წერდა ძალიან ცოტა დრო გეჟონდა, ძალიან ვაჩქარებდი, ნიკა იჯდა როიალთან და ამბობდა: რა ვქნა? რა გააკეთო? მითხარით - გადაუწყვეტელი დილემის წინაშე იდგა...

ფესტივალის მეოთხე დღეს საფორტეპიანო მუსიკა უღერს. ამ საღამოს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვახტანგ კოდანაშვილის მოსასმენად შეიკრიბა მუსი-

კალური ელიტა. მას დიდი ხანია საქართველოში არ დაუკრავს, ევროპული საკონცერტო ტურნეების მერე პიანისტის პროგრამაშია ბეთოვენის სონატა N12 (As Dur), შუმანის "იუმორესკა", რაველის კეთილშობილი და სენტიმენტალური ვალსები, სტრავენსკის სამი ფრაგმენტი ბალეტადან "პეტრუშკა" და "ბისზე" შოპენის ვალსი. კლასიკის ამ დრამატურგიაში, ანუ ლოგიკურ სვლაში თითქმის ყველა ოპუსი შეიძლება გამოეყოს კონცერტის მუსიკალურ ეპიცენტრად, კოდანაშვილის რეპერტუარი იყო მისეულად ვირტუოზული, ის ყოველ ახალ ეტაპზე ახალი რაკურსით დგას მსმენელის წინაშე, როგორც მუსიკოსები მასზე ამბობენ, მისი "შესრულების პალიტრა გაღრმავდა, რაველის, სტრავენსკის სპეციფიკურ ბგერას სხვანაირად შეეხო, მისი ტემბრული პალიტრა გაითავისა და მასში საოცარი ენერგე-

ტიკა ჩაღო".

მეხუთე დღე... მუსიკა, სიტყვა და ფერწერა - მანანა ბერიკაშვილის რეჟისურაში ასეთი ფორმულირებით იყო გააზრებული ლიტერატურულ-მუსიკალური სპექტაკლი "შეურყვევლი იდეე მტკიცედ", რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს შემოქმედება ასახა... ამ ხელოვნებამ ეკლესიების აღმშენებლობასთან ერთად მოიცვა მისი უწმინდესობის მიერ შექმნილი ხატები, საგალობლები, ეპისტოლეები, ქადაგებები, რომლებიც უკვე იქცა ხელოვნების შემქმნელი მარგალიტებად... თეატრალიზებული წარმოდგენის შემდეგ ფესტივალის ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს ის ხელონური ფესტივალი შექმნის და აქამდე აცოცხლეს. მანანა მაგომედოვას ნიმუშები მადლიერების სიმბოლოდ გადაეცათ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ანზორ ერქომაიშვილს, ლიანა ისაკაძეს, ბიძინა კვერნაძეს, ვალერიან შიუკაშვილს და ნიკა მემანიშვილს. ოპერის თეატრში ეს საღამო, რომელმაც ბევრი ხელოვანი გააერთიანა, მინაარსობრივად მთლიანი ფესტივალის ფინალურ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა IV საერთაშორისო ფესტივალი "აღდგომიდან ამდღემდე" აქ არ დასრულებულა, წინ კიდევ 2 საღამოა დარჩენილი - 10 მაისს ფესტივალი ბორჯომში გაგრძელდება კონცერტით "მშვიდობა ყოველთა", 28 მაისს ამაღლების დღესასწაულზე კი ქართული მუსიკა ბათუმში ახმინდება.

არისტოტელის არქეოლოგიური პარკი

2011 წელს, ათენში, ლიცეუმის (ლიკეას) ადგილას არქეოლოგიური პარკი გაიხსნება. უძველეს სკოლაში ძვ.წ.ალ-ის მეოთხე საუკუნეში ფილისოფოსი არისტოტელე ასწავლიდა. ამის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა მსხვილი საინფორმაციო სააგენტო ათენის კორესპოდენტი საბერძნეთის კულტურის მინისტრის ანტონის სამარასის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებიან.

სკოლის ნანგრევები უკანასკნელად 1996 წელს გაითხარა. მათი კონსერვაცია 2002 წელს დასრულდა, ხოლო 2009 წლისთვის შემუშავდა და მოინონეს პროექტი, რომელიც გიმნაზიური ტიპის სასწავლებლის - პალესტრის ნანგრევებზე დახურული პავილიონის შექმნას ითვალისწინებს.

არისტოტელემ მოსწავლეების შეგროვება გიმნაზიაში, რომელიც აპოლონ ლიკეისელის ტაძრის ახლოს მდებარეობდა, ძვ.წ.ალ-ის 335 წელს დაიწყო. იმის გამო, რომ ის და მისი მოწაფეები ერთ ადგილას არ ისხდნენ და ლიკეას ტერიტორიაზე დადიოდნენ, ამ სკოლამ შეიძინა დასახელება პერეპათეტიკური, რომელიც ბერძნული ზმნისგან შეიქმნა ნარმოსდგება. ლიკეამ ფუნქციონირება არისტოტელეს მიერ ძვ.წ.ალ-ის 323 წელს ათენის დატოვების შემდეგაც განაგრძო. ამ დროიდან სკოლას სათავეში ჩაუდგა მუსიკის თეორეტიკოსი - თეოფრასტი, რომელიც, მოგვიანებით, ფიზიკოსმა სტრატონმა ჩაანაცვლა. უკანასკნელად მას ანდრონიკე როდოსელი ხელმძღვანელობდა. ის ძვ.წ.ალ-ის პირველ საუკუნეში ცხოვრობდა.

სანამ დამთავალიერებელი



არქეოლოგიურ პარკში გაიხსენეს, 2009 წლის 20 ივნისიდან მას საშუალება მიეცემა ათენის აკროპოლისის ახალი მუზეუმი მოინახულოს. ამ დაწესებულების გახსნას საბერძნეთის ხელი-სუფლების წარმომადგენლები 2009 წლის თებერვლის დასასრულს ან მარტის დასაწყისში გეგმავენ.

130 000 ევრო დაჯდა მუზეუმი, რომელიც შვეიცარიელი არქიტექტორის - ბერნარდ შუმის პროექტის მიხედვით აიგო. თავდაპირველად მას სტუმრები ჯერ კიდევ 2004 წელს უნდა მიეღო. იმ წელს ათენში ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მუზეუმის გახსნა რამდენჯერმე გადაიდო.

ამჟამად დამთავალიერებლისთვის გახსნილია მუზეუმის პირველი სართული, სადაც დროებითი გამოფენები ეწყობა. მთავარი ექსპოზიცია ზედა სარ-

თულზე განთავსებული.

ძველი, დიდი ხნის წინათ დახურული მუზეუმი აკროპოლისზე მდებარეობს, ახალი კი მის ქვემოთ არის განთავსებული. აღსანიშნავია, რომ ახალ შენობაში არა მხოლოდ აკროპოლისის ტაძართა ქანდაკებები ან ბორცვზე აღმოჩენილი მონაპოვარი გამოიფინება, არამედ საბერძნეთიდან გატანილი ანტიკური ხელოვნების ნიმუშთა ასლებიც.

თავის დროზე, მუზეუმის ახალი ნაგებობის მშენებლობის გადადება იქ ადგილას ადრექრისტიანული ხანის მონაპოვარის აღმოჩენამ განაპირობა.

აკროპოლისის მუზეუმის ძველი შენობა 1965-74 წლებში არქიტექტორმა პანაგისო კალკოსომ აღადგინა. ახალი ფრთა მას გასული საუკუნის 50-იან წლებში მიუერთეს, თუმცა, მუზეუმისთვის ასეთი გაფართოება

არასაკმარისი აღმოჩნდა. 90-იანი წლების დასასრულს, საბერძნეთის მთავრობამ გამოაცხადა კონკურსი, რომელიც ბერნარდ შუმის ამერიკულმა არქიტექტურულმა ბიურომ მოიგო. ამ პროექტის ფარგლებში განიხილებოდა სეისმოლოგიურად მდგრადი კონსტრუქციის შექმნა.

მუზეუმის ახალი შენობა ოთხსართულიანი იქნება. მის ერთ-ერთ კედელთან აიგება შუმის გალერეა ხედით პართენონისკენ.

აკროპოლისის მუზეუმის კოლექციაში არქაული და კლასიკური პერიოდის მნიშვნელოვანი ქანდაკებები ინახება, მაგალითად: ერესთენონის ტაძრის კარი-ატილები, პართენონის ფრიზის ფრაგმენტები და ა.შ.



აქტივზა

1 მაისი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
მცირე სცენა
მტრის ნილაბი
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

მუსიკისა და დრამის თეატრი
სახლი საზღვარზე
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
ქალი წარსულიდან
რეჟისორი პაატა ციკოლია
დასაწყისი: 20.00

თეატრალური სარდაფი
ლიფტიორი
რეჟისორი ლევან ნულაძე
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
იდიოტოკრატია, ანუ ძალიან სასაცილო კომედია
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

თეატრი ვერიკო
მურმან ჯინორიას სპექტაკლი
და სიმღერით ვკვდები
დასაწყისი: 18.00

კინო

რუსთაველი
დესპეროს თავგადასავალი
დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30;
მადაგასკარი 2
დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30;
მილიონერი გარეუბნიდან
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15

სხეულის გარეშე
დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15
ცვლილება
დასაწყისი: 21.30

ამირანი
თქვი დიას
დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15

ნიკი და ნორა
დასაწყისი: 20.00
ზღაპრები ძილის წინ
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00;

სხვა სამყარო - 3
დასაწყისი: 22.00

გამოფენები

თიბისი გალერეა
გოგი ლაზარაშვილის პერსონალური გამოფენა

აკადემია +
დავით ჩიხლაძის პერფორმანსის თეატრი

“ვერნისაჟი”
ზაალ ბაჩანაშვილის პერსონალური გამოფენა


ჩინელი იმპერატორის ბეჭედი

თეთრი ნეფრიტისგან შექმნილი ბეჭედი, რომელიც XVIII საუკუნეში ცინის დინასტიის იმპერატორებისთვის შეიქმნა, ფრანგული სახლის - Beussant-Lefevre აუქციონზე 2,2 მილიონ დოლარად (1,68 მილიონი ევრო) გაიყიდა.

AFP აღნიშნავს, რომ რელიქვიის მყიდველი აღმოჩნდა ჩინელი, რომელმაც საკუთარი ვინაობა არ გაამხილა, მაგრამ აღნიშნა, რომ ის საფრანგეთში მყოფი კოლექციონერის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ აუქციონის დაწყებამდე ექსპერტები ამ ბეჭედს 396-528 ათას დოლარად (300-400 ათასი ევრო) აფასებდნენ.

აუქციონმა პრესის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რამდენადაც Beussant-Lefevre-ის ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე პეკინის მუზეუმ იუანმინიუანის - ცინის იმპერატორთა ძველი საზაფხულო სასახლის - დირექციამ განაცხადა, რომ ბეჭედი 1860 წელს საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებმა მოიპარეს. მუზეუმის თანამშრომლების აზრით, რელიქვია მის კუთვნილ ადგილს უნდა დაუბრუნდეს. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ მოთხოვნაზე კომენტარს ჯერ არ აკეთებენ.

აღნიშნული ბეჭედი აუქციონზე გენერალ ელი ჟან დე ვასუანის (Elie Jean de Vassoigne) შთამომავალმა გამოიტანა. ეს



გენერალი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ფრანგულ გაერთიანებას, რომელიც ჩინეთში 1860 წელს იბრძოდა. თუმცა, აუქციონისტების მონაცემების თანახმად, დე ვასუანი არ იმყოფებოდა პეკინში იმ დროს, როდესაც ევროპელთა შეიარაღებულმა ჯარმა იუანმინიუანი გადაწვეს, შესაბამისად, მას ხელი არ მიუწვდებოდა რელიქვიასთან. როგორ აღმოჩნდა ეს მონაპოვარი გენერალთან, უცნობია. არსებობს კონკრეტული მტკიცებულება და

Beussant-Lefevre-ის სახლის წარმომადგენლებმა ნეფრიტის ბეჭედი აუქციონზე გასაყიდად თამამად გამოიტანეს.

საიმპერატორო ბეჭედის ისტორია სულ ცოტა ხნის წინათ აუქციონზე გამოტანილი კურდღლისა და ვირთხის ბრინჯაოს თავების გარშემო ატეხილ სკანდალს გვავიწყებს. ისინი ივ სენლორანისა და მისი პარტნიორის პიერ ფაბერეს ქონების ნაწილი იყო. აღსანიშნავია, რომ პეკინიდან ეს მცირე სკულპტურებიც

1960 წელს გაქრნენ. ჩინეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ამ ფიგურათა დაბრუნება მოითხოვა, რაზეც აუქციონის წარმომადგენლები არ დათანხმდნენ. ბრინჯაოს თავები აუქციონზე ჩინელმა კოლექციონერმა 31,5 მილიონ ევროდ შეიძინა. მოგვიანებით კი გაიკვდა, რომ კოლექციონერს მისი შექმნის სახსრები არ აღმოაჩნდა და საბოლოოდ, კურდღელი და ვირთხა კვლავ პიერ ფაბერეს დაუბრუნდა.

წელს 300-მდე სკოლის რეაბილიტაცია მოხდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკოლოზ გვარამია და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ტყეშელაშვილი 45-მდე სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე სკოლების რეაბილიტაციის გეგმები განიხილეს.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის იაკობ გოგებაშვილის ფარგლებში, წელს საქართველოს მასშტაბით 60-მდე საჯარო სკოლის მშენებლობა - რეაბილიტაცია განხორციელდება. შეხვედრაც სწორედ ამ თემას შეეხო.

მაისის პირველ ნახევარში განათლების სამინისტრო ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ტენდერების გამოცხადებას აპირებს. ეს შეეხება 350-მდე სკოლას. ვინცერთ როგორც ფუნქციურ რეაბილიტაციას, ასევე მშენებლობებსაც. სკოლების რეაბილიტაციაზე დაახლოებით 15 ათასამდე ადამიანი დასაქმდება, გაუმჯობესებულ სასკოლო გარემოში კი კი დევ 100 ათასი მოსწავლე ისწავლის”, - აღნიშნა ნიკოლოზ გვარამიამ.

აღნიშნული სკოლების რეაბილიტაციაზე ბიუჯეტიდან 30 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. აქედან 50-მდე სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო შეასრულებს. 250-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაციას ადგილობრივი თვითმმართველობა განახორციელებს, ხოლო დამატებით 70-მდე სკოლის რეაბილიტაცია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდება, რაზეც 18 მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მაისიდან ვინცერთ პროცესს, რასაც ჰქვია საქართველოს ყველა რეგიონში პრაქტიკულად სკოლების და სასწავლო დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ადგილზე. მთავარია, რომ ახლა სწრაფად, ოპერატიულად სამშენებლო კომპანიებთან სწორი კომუნიკაციის ხარჯზე დავიწყეთ და დავამთავროთ ეს პროცედურები. იმისათვის, რომ დავიწყეთ შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა დასექტემბრად მივიღოთ ახალი გარემონტებული და რეაბილიტებული 300-მდე სკოლა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე”, - აღნიშნა დავით ტყეშელაშვილმა.

2009-2010 წლებში 23 ახალი სკოლა აშენდება გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში. ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე მაისში გაიმართება.

მედიაინუსი

საქართველოს პრეზიდენტის ნიგნის პრეზენტაცია ლატვიაში გაიმართა

ლატვიური მედიის ცნობით, რიგაში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ახალი ნიგნის “მე თქვენ თავისუფლებაზე მოგყვებით”.

ნიგნი სააკაშვილმა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ დაწერა.

ნიგნში საქართველოს პრეზიდენტი ამ ომზე დეტალურად საუბრობს და მკითხველს უხსნის, თუ რატომ აირჩია მან რუსეთთან დაპირისპირების გზა.

ასევე, ნიგნში მიხეილ სააკაშვილი საუბრობს ვარდების რევოლუციაზე, საფრანგეთსა და აშშ-ში გატარებულ წლებსა და დასავლეთისადმი თავის დამოკიდებულებაზე.

მედიაინუსი

თელავის უნივერსიტეტი სტუდენტებს მეორად პროფესიაში მოამზადებს

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი გოცირიძის განცხადებით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის თხონით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს, ენერგეტიკის დარგში მოამზადებს.

გიორგი გოცირიძის თქმით, შეთავაზება ენერგოდისტრიბუციისგან მიიღო. პროგრამა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება, გულისხმობს, სტუდენტების მომზადებას მეორად პროფესიაში.

თელავის უნივერსიტეტის სტუდენტებს ახალი პროფესიის არჩევის საშუალება და კახეთის ენერგოდისტრიბუციაში დასქმების პერსპექტივა ეძლევათ” - განუცხადა რადიო “ჰერეთს” გიორგი გოცირიძემ.

მედიაინუსი

ნუ მიწოდებთ ქაირს ბავშვს!

წინო მამარდაშვილი

ემოცია რომელიც პირველად მეუფლება ფილმის “I am Sam განწყობაა. თუმცა აქ ერთი ჭკვიანი ქერთაშინი ბავშვის ნაცვლად უამრავი ბავშვის ფოტოა და ერთი ბავშვის ვიდეო რგოლი. ის თავის ისტორიას ჰყვება. მას არც დედა ჰყავს, არც მამა და არც სახლი აქვს. მისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფადაც არავინ მართავს სასამართლოს. არც მიშეილ ფაიფერი ჩანს დამცველი ადვოკატის ამპლუაში და არც შონ პენი მსოფლიოში საუკეთესო მამის როლში. მოკლედ, ჩემი პირადი სიმპათია შონ პენის მიმართ და ფილმის სიუჟეტი იქვე იყოს. ამის არც დროა და არც ადგილი. მითუმეტეს მაშინ როდესაც ქვეყანაში ამდენი პრობლემაა, მსოფლიოში - კრიზისი.

პარალელს მხოლოდ იმ ფაქტთან ვავლევ, რომ ფილმში როდესაც ბავშვის მშობელს არ აქვს შესაძლებლობა შვილს ყველაფერი აუცილებელი მისცეს და სრულყოფილად აღზარდოს, ამას სასამართლოს გზით უამრავი კეთილისმსურველი და სახელმწიფო - ძალის და კანონის მეშვეობით აკეთებს. მაგრამ ეს ფილმში და აქ... საქართველოში კი...

ბავშვები ქუჩებში ცხოვრობენ. ეს არც ახალია და არც უცნაური. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქუჩის ბავშვები მეძვე მანდილოსნებთან ერთად ისეთივე ატრიბუტებად იქცნენ ჩვენი ქუჩებისთვის, როგორც ძვირადღირებული კაფე-ბარები და სხვადასხვა საფირმო მაღაზიები. ბავშვები ყოველ დღე გვხვდებიან (ერთი და იგივე სახეები დღეში რამდენიმეჯერაც კი) და გვიხიზნენ ფულს. “გეხმარებთ?”, გვებრალებიან და გვებზრდებიან. ყველას საკუთარი პრობლემები აქვს და საკუთარი ეგოიზმიდან გამოსვლა საკმაოდ რთულია. “მათ ხომ ფული მხოლოდ ნების საყიდლად სჭირდებათ!...”

ამერიკის შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლები რამდენიმე დღე თბილისში იმყოფებოდნენ. ჯერ დევნილი 30 ბავშვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში დასაქმებაზე იზრუნეს, შემდეგ კი ქალბატონ კატარინა ვარგანთან ერთად უზრუნველ ქუჩის ბავშვების კვლევის ჩატარებას შეუწყვეს ხელი და შედეგებიც წარმატებულად მოგვასხსნეს. “გადავარჩინოთ ბავშვების” მიერ განხორციელებული პროექტის პრეზენტაცია კულტურის სახლ “მუზაში” გაიმართა. კატარინა ვარგანი უკვე 5 წელია საქართველოში ცხოვრობს და სხვადასხვა პროექტზე მუშაობს.

ამჟამად კვლევა საქართველოს ოთხ დიდ ურბანულ ცენტრს მოიცავდა: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი. კვლევის მიზანი იყო: 1) ოთხ მიზნობრივ ურბანულ ცენტრში ქუჩის ბავშვების მიახლოებით რაოდენობის განსაზღვრა; 2) მათი თავისებურებების აღწერა ისე, რომ 3) მტკიცებულება დაყრდნობით შესაძლებელი ყოფილიყო პოლიტიკისა და პროგრამული რეკომენდაციების შემუშავება. უკანასკნელი რა თქმა უნდა ყველაზე მნიშვნელოვანია.

პროექტზე 220 გამოცდილი მკვლევარი მუშაობდა. ქუჩაში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მიახლოებით 1600 აღმოჩნდა. მათი უმეტესობა კი 5-დან 14 წლამდე ასაკის ბიჭები არიან, რომლებიც ძირითადად მათხოვრობენ. ისინი ქუჩაში ზრდასრულთა მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებიან, თუმცა უმრავლესობას ჰყავს სულ ცოტა ერთი ცოცხალი მშობელი ან ნათესავები მაინც.

ქუჩის ბავშვების 40%-ზე მეტს ქუჩაში სამ წელზე მეტი აქვს გატარებული. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ რომ ამ ბავშვებმა ქუჩის ცხოვრება ვარდების რევოლუციამდე ან უშუალოდ მისი მიმდინარეობა-დასრულებისას დაიწყეს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კატასტროფულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვარდების რევოლუციის შემდგომმა პერიოდმა, მრავალი ავტორის მტკიცებით, იმედის ახალი გრძნობით განაწყო საქართველოს მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, იმ ქუჩის ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ქუჩაში უკანასკნელი ერთი წლის ან ნაკლები განმავლობაში გამოვიდა, ასევე მაღალია და ვარდების რევოლუციამდე მარჯვენა-ლემს უახლოვდება”, - ნერენ ავტორები ზემოაღნიშნული პროექტის შემჯავებელ ნიგნში “ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს”.

კვლევამ დაადგინა, რომ უმეტეს შემთხვევაში საქართველოში ქუჩისკენ ბავშვებს ძირითადად შემდეგი ფაქტორები უბიძგებს: ეკონომიკური პრობლემები - სიღარიბე, უმუშევრობა და უსახლმყოფობა; ოჯახის შემადგენლობის შეცვლა, როგორცაა განქორწინება ან შობილის მეორედ ქორწინება; ოჯახის გადაადგილება; ალკოჰოლიზმი და ძალადობა სახლში; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები სახლში; განათლების ნაკლებობა; ბავშვის ინტელექტუალური მარცხის სოციალური დაცვის სისტემის არსებობა და სხვა.

კვლევამ ისიც დაადგინა, რომ ქუჩის ბავშვებისათვის არსებული სოციალური მომსახურება ძალიან არაადეკვატურია რაოდენობის და დაფარვის მიხედვით. მომსახურებები, რომლებიც ჩვენთან ფუნქციონირებს ამჟამად ქუჩაში მყოფი ბავშვების უმრავლესობას არ ეხება და მათ ცხოვრებაში რეალური ცვლილება არ შეაქვს. პროექტის

მენეჯერთან პირად საუბარშიც გავარკვეით, რომ არსებული სერვისები მხოლოდ დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფს ბავშვებს..

“გვაქვს დღის ცენტრები, მობილური სამსახური და თავშესაფარი ხანმოკლე ვადით ბავშვებისათვის, შემდეგ მათი გრძელვადიანი თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის სოც.მუშაკები ზრუნავენ. ჩვენთან არსებული სერვისები - ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო აქტივობებს - ქუჩაში სწავლებას, ნერა-კითხვის, ხატვის, კრეატიულ აქტივობებს... დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მშობლებთან ურთიერთობას.

ეს არის პირველი მეცნიერული და სრულყოფილ მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევა საქართველოში. იგი USAID-მ და UNICEF-მა დააფინანსა, მაგრამ 2009 წლიდან ამ სერვისების დიდ ნაწილს ჯანდაცვის სამინისტრო და მთავრობა დააფინანსებს” - ამბობს პროექტის მენეჯერი თინა ასლანიშვილი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქუჩის ბავშვებისათვის რა თქმა უნდა განათლების არარსებობაა. მათი უმრავლესობა სამუხაროდ სკოლაში საერთოდ არ ირიცხება. ისინი კი, ვინც ჯერ კიდევ სკოლაში ირიცხებიან, იქ დარჩენისათვის რამდენიმე წინააღმდეგობას აწყდებიან. ზოგი სკოლაში სიარულისა და შემოსავლის გამოშვების შეთავსებას ცდილობს, რაც რთულია და ბოლოს სკოლის მიტოვებისკენ უბიძგებს ბავშვს. სხვებს აუცილებელი სასკოლო ნივთების შექნა არ შეუძლიათ და ა.შ.

კვლევის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაა. რეკომენდაციები და დასკვნები. მათი აზრით, ოთხივე ქალაქში არსებობს რესურსები, რომლებიც შესაბამისი დონორი ორგანიზაციების დახმარებით სისტემურად უნდა ხმარდებოდეს ამ პრობლემების გადაწყვეტას. “აუცილებელია ბავშვების და მათი ოჯახების შესახებ რეგულარული მონაცემების შეგროვება, შესაბამისი პროექტული სოციალური დახმარების სქემებისა და სოციალური მომსახურების განვითარება. ეს ყველაფერი სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე უნდა ხდებოდეს, ხოლო დაფინანსების მექანიზმები მოქნილი უნდა იყოს, რომ საჭიროების შემთხვევაში თანხის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს და დროულად მოხმარდეს მომსახურებას. უნდა განვითარდეს ბავშვისათვის ხელმისაწვდომი მომსახურების არჩევანი, როგორცაა: დღის ცენტრები, სკოლის შემდგომი პროგრამები და ზოგიერთ შემთხვევაში, სახლში მოვლა, ასევე პროფესიული ხარისხიანი ფსიქოლოგიური დახმარება ოჯახებისათვის.

სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს მხოლოდ იმ ოჯახებისათვის, რომელთაც

დახმარების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებლობა აქვთ. ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება ყველა უწყების მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი, როგორც: პოლიცია, სკოლა, სამედიცინო დაწესებულებები, სოც. მუშაკების ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციის პროგრამები.

განათლების საკითხის გადასაჭრელად პოლიტიკის რეკომენდაციები ქვეყნის მიერ ხელმოწერილ ათასწლეულის განვითარების მიზნებისა და “განათლება ყველასათვის” სტრატეგიის კონტექსტში უნდა იყოს განხილული. ქუჩის ბავშვების უმრავლესობისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა მთავრობისათვის და ქვეყნისათვის, რომელსაც ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილების ამბიციაც აქვს, საზიანოა” - ნერენ ნიგნის ავტორები.

მათი თქმით, იურიდიული შეზღუდვები, როგორცაა: სკოლაში ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბუთების მოუწესრიგებლობა, განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაწყდეს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შეუძლია ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ პირადობის მოწმობა და შესაბამისი საბუთები - მიღების პროცესი გაამარტივოს და უზრუნველყოს, ისიც რომ იგი სრულიად უფასო იყოს. (სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მსგავსი პროექტი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე უკვე გააკეთა, თუმცა იგი ძირითადად დევნილ ბავშვებს გულისხმობდა).

უნდა შეიცვალოს ასევე არსებული კანონმდებლობა, რომ დაცვას ქუჩის ბავშვები ოჯახური ძალადობისგან, ალკოჰოლიზმის, განქორწინების, აზარტულ თამაშებში ჩათრევის და სხვა შემთხვევებისგან. ბავშვთა დაცვა პოლიციის მიერ მომზადების აუცილებელი კომპონენტი უნდა გახდეს..

რეკომენდაციები და რჩევები მართლაც რომ ძალიან ბევრია და რა თქმა უნდა, დროულიც და აუცილებელიც. ჩატარებული კვლევა, კატარინა ვარგანის თქმით, მსოფლიოშიც იშვიათია და მხოლოდ რამდენიმე პრეცედენტი თუ მოიპოვება. ასე, რომ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ამ ორგანიზაციებისათვის. ამ პრობლემის მოგვარება თუ არა, მოგვარებაზე ზრუნვით დაწყება კი ალბათ თითოეული ჩვენგანის ვალიცაა. რომ აღაფერხებულა, სახელმწიფოს ვალდებულებებზე. ეს ბავშვები ხომ ჩვენს შორის არიან, ჩვენს ქვეყანაში ჩვენთან ერთად ცხოვრობენ და მათ ჩვენი დახმარება ესაჭიროებათ... მე კი ბოდიშს მოვუხდელ თითოეულ მათგანს, რომ ამ სტატიის წერის განმავლობაში იძულებული ვიყავი მათთვის “ქუჩის ბავშვები” მწონდებინა.

ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის განცხადება

ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

- მოთხოვნები:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომლისათვის:
- უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- არანაკლებ 5 წლის მუშაობის სტაჟი სპეციალობის მიხედვით.
ბ) კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსისათვის
- უმაღლესი განათლება (სასურველია საბუნებისმეტყველო ან მართვის სფეროში) არანაკლებ 10 წლის მუშაობის სტაჟი;
- გამოცდილება სატყეო და გარემოსდაცვით სფეროში;
- დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
- გამოცდილება ადმინისტრირებაში;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
- ანალიტიკური უნარჩვევები;

- პროექტების შედგენის გამოცდილება;
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. დიპლომისა და სხვა სერთიფიკატების ასლები, სარეკომენდაციო წერილები, თანამშრომლის სურვილის მიხედვით;
4. გამოქვეყნებული მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
5. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია)
საბუთების მიღება წარმოებს დილის 10:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე. ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. საბუთები მიიღება გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.
მისამართი: თბილისი მინდელის ქუჩა N9
საკონტაქტო ტელეფონები: 31-72-34, 31-72-33

სპორტი

ფაულია და ქორები ნახევარფინალს მიუახლოვდნენ

გუშინ, გამთენიისას, ატლანტას ფილიპს არენაზე NBA-ს აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალური სერიის მეხუთე მატჩში ატლანტა ჰოუქსმა მაიაში ჰიტს უმასპინძლა და შეხვედრა ანგარიშით 106:91 მოიგო. ამრიგად, სერიას ქორები იგებენ - 3:2 და კონფერენციის ნახევარფინალში გასასვლელად ერთი გამარჯვება და სჭირდებათ. მეექვსე მატჩი მაიაში გაიმართება. თუ გამარჯვებულის გამოვლენას მეშვიდე თამაში დასჭირდა, გადამწყვეტ შეხვედრას ატლანტა უმასპინძლებს.

ჯორჯიელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება რამდენიმე დღით ადრე მოიპოვეს, როდესაც მეტოქე სტუმრად დაამარცხეს და საკუთარი მოედანის უპირატესობა დაიბრუნეს. იმ მატჩში სწორედ ზაზა ფაჩულიას ბრწყინვალე თამაშის წყალობით შეძლეს ქორებმა მეტოქის დამარცხება. რაც შეეხება გუშინ გამართულ თამაშს, ატლანტას უპირატესობა თვალმისაცემი იყო. მატჩის პირველი ტაიმი მაიკ ვუდსონის შეგირდებმა 23 ქულით მოიგეს, მეორე ტაიმი კი ფაქტობრივად ფორმალობად აქციეს. ზაზა ფაჩულიას სათამაშო დრო საკმაოდ ჰქონდა. ქართველმა ცენტრმა 22 წუთში 6 ქულა შესძინა თავის გუნდს, ამდენჯერვე მოხსნა ბურთი ფარიდან და ორი შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. გუშინდელ მატჩში ატლანტელთათვის ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა - დაშავდა ქორების ძი-



ალმენიამ "არსენალს" შანსი შეუნარჩუნა

რითადი ცენტრი და ზაზას მთავარი კონკურენტი ალ ჰარფორდი, რომელიც, სავარაუდოდ, მეექვსე მატჩს გამოტოვებს და შესაძლოა ვერც მეშვიდეში მიიღოს მონაწილეობა.

საქართველოს ნაკრების კალაბურთელებმა ევროპაშიც გამართეს მორიგი ტურის მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატის 31-ე ტური გაიხსნა კახასოლისა და ესტუდიანტის მატჩით, რომელიც, ტაირონ ელისის ჩინებული თამაშის მიუხედავად, მასპინძლებმა 70:93 დათმეს.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა სევილიელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 34 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მი-

თვალა. ტაირონმა 9-დან 5 სამქულიანი ჩაგდო და ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა.

კახასოლს 10 მოგება და 21 მარცხი დაუგროვდა და მე-14 ადგილზე რჩება.

ვლადიმერ ბოისას ზადარმა სპლიტთან გასვლითი მატჩი 82:76 მოიგო და ხორვატიის საკალაბურთო ჩემპიონატის ლიდერთა შორის ადგილი შეინარჩუნა. ბოისამ 13 წუთს იასპარეზა, თუმცა სამივე ორქულიანი ააცილა და ერთადერთ მოხსნას დასჯერდა.

ზადარს, ზაგრებისა და ციბონას მსგავსად, 8 მოგება და 1 მარცხი აქვს და პირველმესამე ადგილებს იყოფს.

თვალა.

ტაირონმა 9-დან 5 სამქულიანი ჩაგდო და ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა.

კახასოლს 10 მოგება და 21 მარცხი დაუგროვდა და მე-14 ადგილზე რჩება.

ვლადიმერ ბოისას ზადარმა სპლიტთან გასვლითი მატჩი 82:76 მოიგო და ხორვატიის საკალაბურთო ჩემპიონატის ლიდერთა შორის ადგილი შეინარჩუნა. ბოისამ 13 წუთს იასპარეზა, თუმცა სამივე ორქულიანი ააცილა და ერთადერთ მოხსნას დასჯერდა.

ზადარს, ზაგრებისა და ციბონას მსგავსად, 8 მოგება და 1 მარცხი აქვს და პირველმესამე ადგილებს იყოფს.

"მანჩესტერმა" ფერდინანდი დაკარგა

მანჩესტერმა კი გადადგა ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ ერთი ნაბიჯი, მაგრამ არსენალთან მოგებული მატჩში ერთი დიდი დანაკლისი მაინც განიცადა. მატჩის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს "მანჩესტერის" მცველი რიო ფერდინანდი, რომელიც 88-ე წუთზე დაშავდა "კანონირთა" ფორვარდ ედუარდო და სილვასთან შეჯახებისას. ფერდინანდს მხრის ძვალი აქვს გაბზარული. არის თუ არა მოტეხილობა, ამას რენტგენის სურათი დაადგენს.

ეტო'ოს "ბარსაში" სურს დარჩენა

მიუხედავად იმისა, რომ სამუელ ეტო'ოს შეძენა არაერთ კლუბს სურს, კამერუნელი აცხადებს, რომ ბარსელონადან წასვლა არ უნდა.

ჩემი მომავალი ბარსასთანაა დაკავშირებული. ახლა ეს ცხადია. როდესაც სეზონი დასრულდება, ახალი კონტრაქტის შესახებ კლუბს გავესაუბრები. ახლა ფულზე ლაპარაკის დრო არაა. დარწმუნებული ვარ, სეზონის ბოლო სენსაციური იქნება: ესპანეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ჩელსისთან მატჩს, ჩვენ სხვა შედეგს ვიმსახურებდით, მაგრამ 0:0 არცთუ ისე ცუდია. მომავალ კვირაში ლონდონში გოლების გატანაც საკმარისი იქნება, მაგრამ დიდი გამარჯვება გვინდა. არ მომეწონა, როდესაც შემცვალეს, თუმცა, ეს მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო. გვარდიოლამ გუნდის მენტალიტეტი შეცვალა. ეს ადამიანი ყველა ფეხბურთელთან ახლოსაა, - თქვა კამერუნელმა ფორვარდმა. შეგახსენებთ, რომ ეტო'ოს ტრანსფერის საკითხი გასულ სეზონშიც იდგა დღის წესრიგში მას შემდეგ, რაც ბარსაში ახლად მოსულმა გვარდიოლამ კამერუნელის სამსახური ფაქტობრივად იუარა, თუმცა გასულ ზაფხულს ეტო'ო კატალონიურ კლუბში დარჩა და გუნდს ისეთი სარგებლობა მოუტანა, რომ ამჟამად ალბათ ფეხბურთელის გაშვებაზე ბარსას მესვეურებიც უარს იტყვიან.

სამი თამაში, ორი მარცხი

საქართველოს სახელით მოასპარეზე ბრაზილიელმა გოგონებმა ჩინეთის ქალაქ შანხაიში დაწყებულ მსოფლიო ტურის მე-2 ეტაპზე პლაჟის ფრენბურთში ერთადერთი გამარჯვება იზიარეს და ასპარეზობა პირველივე დღეს დაასრულეს.

მე-10 ნომრად განთესილმა საქართველომ პირველ მატჩში 23-ე რეიტინგის მქონე ფრანგებს 2:0 სძლია, შემდეგ კი ბრაზილიელებთან 1:2, ხოლო რუსებთან 0:2 წააგო. ამგვარად, ბრაზილიელმა ქართველებმა მეჩვიდმეტე-ოცდამეოთხე ადგილები გაიყვეს და შანხაის ტურნირში თამაშისთვის 120 სარეიტინგო ქულა და 2800 საპრიზო დოლარი მიიღეს.

ვაჟთა წყვილი გეო-რგია, რომელსაც ასევე ბრაზილიელები რენატო გომეში და ჟორჟ ტერშეირო წარადგენენ, ასპარეზობაში 1 მაისს ჩაებმება.

"მილანმა" სპარინგ-პარტნიორად ალბანეთის ნაკრები შეარჩია

იტალიის მილანი, რომლის შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანი კახა კალაძე გამოდის, 12 მაისს ტირანაში ამხანაგურ მატჩს გამართავს ალბანეთის ნაკრებთან.

შეხვედრის გამართვის ინიციატორია საერთაშორისო ორგანიზაცია UNICEF. საქველმოქმედო მატჩიდან შემოსული თანხა ალბანეთში განათლების სისტემის განვითარებას მოხმარდება. ტირანაში ვერ ითამაშებს კალაძე, რომელიც მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ მხოლოდ აგვისტოში განაახლებს ვარჯიშს. მილანთან თამაშის შემდეგ მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას ალბანელები 10 ივნისს ტირანაში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებენ.

მტრის ქომაგი

სამეფო კლუბის გადამდგარი პრეზიდენტი რამონ კალდერონი არ მალავს, რომ ბარსელონასადმი სიმპათიები აქვს და სურს, რომ კატალონიელებმა ჩემპიონთა ლიგა მოიგონ. ვფიქრობ, დიდებული იქნება, თუ ბარსა რომაულ ფინალში გაიმარჯვებს. ევროთასეებზე ესპანურ გუნდებს ყოველთვის ვქომაგობ. ბარსელონას პრეზიდენტ ჟოან ლაპორტასთან კვლავაც მაქვს კონტაქტი. მისი გუნდის ლიონსა და ბაიერნზე გამარჯვების შემდეგ ჩვენ SMS-ები გავცვალეთ. მინდა, რომ მათ ჩემპიონთა ლიგა მოიგონ, - ამბობს კალდერონი.

ამსტერდამში, ქართული ხასიათის წარმოსაჩენად

16-17 მაისს ამსტერდამში TORNEO DEL FUTURO-ს საერთაშორისო ტურნირში ფონდი არველადის თაოსნობით და დახმარებით ქართული გუნდი დიჯ რომ ითამაშებს, ეს ჩვენი გულშემატკივრებისთვის კარგად არის ცნობილი. ამ ტურნირს მომავლის ჩემპიონთა ლიგასაც უწოდებენ, რადგან მასში ევროპის წამყვან კლუბთა საფეხბურთო აკადემიის ბავშვები მონაწილეობენ. წლეულს ტურნირში პირველად ითამაშებს ქართული გუნდი. ასევე პირველად დააგეგმონებს ამ გათამაშებას იაპონური კამიამას ბავშვთა გუნდი. შეგახსენებთ, რომ ტურნირში დასმებიან 1997 წელს დაბადებული ან უმცროსი ასაკის ბავშვები.

ტურნირში მონაწილე ქართულ გუნდს Georgia ერქმევა. მისი მწვრთნელია გამოცდილი სპეციალისტი ნოდარ აკობია. სწორედ მასთან ინტერვიუს გვთავაზობს ფონდი არველადის ოფიციალური ვებგვერდი, რომელსაც ჩვენს მკითხველ-

საც ვთავაზობთ.

- რამდენი მოზარდით მიემგზავრებით ამსტერდამის ტურნირზე?

- განაცხადში 18 ფეხბურთელი გვეყოლება. შოთა არველადის ვაჟი - გიორგი ამსტერდამში შემოგვიერთდება.

- შეკრებაზე როდის გადახვალთ?

- ტურნირამდე ხუთი დღით ადრე. ამსტერდამში კი 15 მაისს ჩავალთ.

- რომელი საფეხბურთო სკოლებიდან აარჩიეთ მოზარდები ამ ტურნირისთვის?

- ბირთვს ორი საფეხბურთო სკოლის ბავშვები წარმოადგენენ - ოლიმპი და ირაო. კიდევ აიყვინთ მოზარდები საბურთალოდან, მთვარის გლობუსიდან, ოლიმპიდან ...

- პერიფერიებში არ გინარმოებიათ სელექცია?

- ეს ვერ მოვახერხებ, რადგან რაიონებიდან ბავშვების თბილისში ჩამოსვლა და დაბინავება გარკვეულ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. ერთი სიტყვით, გუნდი,

რომელიც ამ ტურნირზე გაემგზავრება, საქართველოს ნაკრები არ არის.

- ტურნირის სოლიდრობაზე მეტყველებს იმ გუნდთა სახელწოდებები, რომელთა ბავშვებიც ჩაერთვებიან ამ გათამაშებაში. რა შედეგს გეგმავს ჯორჯია?

- ტურნირი წრიული სისტემით ტარდება - ყველა ყველას შეხვდება, რითაც ამ შეჯიბრებას ფესტივალის დატვირთვაც ექნება. როგორც ჩანს, ტურნირის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ბავშვების ფსიქოლოგია - მოზარდები ერთმანეთს გაიცნობენ, თვალსაზრისს იხილებენ. ზოგადად, ამ ასაკში შედეგი ხომ არ არის ყველაზე მთავარი.

- როგორ ფიქრობთ, წმინდა სპორტული თვალსაზრისით რა სხვაობა უნდა იყოს ჩვენსა და ევროპულ მოზარდებს შორის?

- ამ ტურნირში პირველად მონაწილეობთ და ჩვენს მეტოქეებზე ინფორმაციას არ ვფლობთ. თუმცა კარგად ვი-

ციტ, რომ ყველა განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანას აქვს თავისი სისტემა და ამ სისტემის ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. ასეთ ქვეყნებში თვითონ სისტემა ზრდის ფეხბურთელს.

- ქართულ ფეხბურთში კი ახლა ბევრი პრობლემაა, მათ შორის ბავშვთა ფეხბურთშიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოახერხებს ჯორჯია ამსტერდამში იმის ჩვენებას, რასაც ქართული ფეხბურთის სტილი და ხასიათი ჰქვია?

- ვფიქრობ, ამ ასაკში ეს შესაძლებელია და ალბათ მოვახერხებთ ამსტერდამში ამის ჩვენებას. აქვე უნდა ვთქვა: ქართველი ბავშვები ასეთ ტურნირზე რომ მიდიან, ეს, პირველ რიგში, ძმები არეველადებისა და მათ მიერ შექმნილი ფონდი არველადის დამსახურებაა. მათ მოუშვადეს ამ ბავშვებს ასეთი დიდი საჩუქარი - ჯორჯიას არველადეებისადმი მადლობის მეტი არაფერი ეთქმის.

ქალაქებს უეფას აღმასკომი დაასახელებს

2012 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უკრაინა-პოლონეთი მასპინძლობენ, თუმცა ჯერ უცნობია, კერძოდ რომელ ქალაქებში გაიმართება მატჩები. ამ გადაწყვეტილებას უეფა ბუქარესტში გასამართ აღმასკომის სხდომაზე მიიღებს.

გიგზის საიუბილეო

“ოლდ ტრაფორდზე” “მანჩესტერისა” და “არსენალის” ჩემპიონთა ლიგის წმინდა ინგლისურ ნახევარფინალში მატჩის 67-ე წუთზე მინდორზე რაიან გიგზი შევიდა. ეს უელსელი ფეხბურთელისთვის “მანჩესტერის” მაისურით გამართული მერვაასე მატჩი იყო.

2008 წლის მაისში გიგზმა სერ ბობი ჩარლტონის რეკორდი გააუმჯობესა და “მანჩესტერის” მაისურით 759-ე მატჩი ჩაატარა. 1990 წლიდან დღემდე ინგლისის პრემიერლიგაში გიგზმა 559 პაექრობა გამართა და 102 გოლი გაიტანა. მას 10-ჯერ აქვს მოგებული ინგლისის პირველობა, 4-ჯერ - ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, 3-ჯერ - ლიგის თასი, 7-ჯერ - ინგლისის სუპერთასი, 2-ჯერ - ჩემპიონთა ლიგა, თითოჯერ - უეფას სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო და ფიფას საკლუბო მსოფლიო თასები.

რაიკაარდი “მილანში”?

“მილანის” ხელმძღვანელებს არაერთხელ უთქვამთ, რომ გუნდს მხოლოდ იმ მწვრთნელს ჩააბარებენ, რომელიც თავის დროზე “მილანის” შემადგენლობაში ფეხბურთის თამაშობდა. ასეთები კი არც ისე ბევრი არიან. ახლა, როდესაც საუბარია ანჩელოტის შესაძლო წასვლაზე, მის შემცვლელად “ბარსელონას” ყოფილ თავკაცს ფრანკ რაიკაარდს ასახელებენ.

ფეხბურთის ჰოლანდიელი სპეციალისტის აგენტი პერი ოვერეემი აცხადებს, რომ შესაძლოა მისი კლიენტი იტალიურ “მილანს” ჩაუდგეს სათავეში.

“დიდი შანსია, ფრანკი სამუშაოს დაუბრუნდეს. მას იტალიაში ან ინგლისში მუშაობა სურს. “მილანმა” დაადასტურა, რომ რაიკაარდს კარლო ანჩელოტის მემკვიდრეთა შორის მიიჩნევენ. სხვათა შორის, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დარჩება თუ არა თავად ანჩელოტი მილანში”, - ამბობს ოვერეემი.

რენსინგის მუქარა

“ბაიერნის” 24 წლის მეკარე მიხაელ რენსინგი გუნდში “პირველ ნომრად” ახალი მეკარის მოყვანის შემთხვევაში კლუბიდან წასვლით იმუქრება.

“მეორედ ნომრად ყოფნა არც მინდა და არც არასოდეს ვიქნები”, - თქვა მან.

რენსინგის პრეტენზია, ცოტა არ იყოს, უცნაურია. თავის დროზე მას კანის მემკვიდრედ ასახელებდნენ, თუმცა ამ სეზონმა დაგვანახა, რომ რენსინგი არათუ კანის მემკვიდრე არ არის, ლეგენდარული გერმანელის ფრჩხილადაც არ ღირს.

ის, რომ “ბაიერნმა” სეზონი ჩააგდო, ამაში რენსინგის “დამსახურებაცაა”.

“ალკმაარნი” ვან გაალს არ შეეღებო

ახლახან გაჩემპიონებული “ალკმაარის” მთავარმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა ცოტა ხნის წინ თქვა, რომ რომელიმე დიდ კლუბში მუშაობაზე უარს არ იტყობდა. ამჟამად ვაკანტურია “ბაიერნის” მწვრთნელის ადგილი. იყო ვარაუდი, რომ ვან გაალი სწორედ მიუნხენურ კლუბში დაინიშნებოდა, თუმცა “ალკმაარის” მესვეურები გამოცდილ სპეციალისტთან განშორებას არ აპირებენ.

“ვან გაალის ვადამდელი წასვლა განხილვას არ ექვემდებარება, - თქვა “ალკმაარის” მთავარმა დამფინანსებელმა დირკ შერინგმა, - კონტრაქტი მას 2010 წლამდე აკავშირებს ჩვენთან. ჩემი აზრით, ის ამ კონტრაქტს ამოწურავს.”

მესის ოცნება

“ბარსელონას” ლიდერი ლეო მესი აცხადებს, რომ უახლოესი მატჩებიდან ყველაზე მეტად ლონდონის “ჩელსის” დამარცხებაზე ოცნებობს.

“ყველაზე მეტად “ჩელსის” დამარცხებას ვისურვებდი, რადგან, მადრიდში წაგების შემთხვევაში, “რეალთან” ერთქულიან უპირატესობას მაინც შევიწინარჩუნებთ. ჩემპიონთა ლიგაში კი შეცდომის უფლება არ გვაქვს. მნიშვნელობა არა აქვს, 0:1-ს წაგავებთ თუ 0:2-ს. ისიც კი არ არის მნიშვნელოვანი, გავიტან თუ არა თავად გოლს”, - ამბობს არგენტინელი ფეხბურთელი.

ალმუნია არსენალს შანსი შეუნარჩუნა



ოში თანაგუნდელებთან ერთად აღნიშნავს გატანილ გოლს

ოლდ ტრაფორდზე გამართულმა ჩემპიონთა ლიგის წმინდა ბრიტანულმა ნახევარფინალმა დაგვანახა, რომ არსენ ვენგერი არ ცდებოდა, როდესაც ამბობდა, ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდიდან ყველაზე სუსტი არსენალი იყო. მეთოფთა ეს სპანელი მეკარის მანუელ ალმუნის ბრწყინვალე თამაში რომ არა, მანჩესტერი ოთხშაბათსვე დაიბეჭებდა ფინალის საგზურს და ეს სრულიად დამსახურებული იქნებოდა.

სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე. ისეთი თამაშით, როგორც არსენალმა ოლდ ტრაფორდზე აჩვენა, ამ გუნდს არათუ ფინალში, ნახევარფინალშიც არაფერი ესაქმება.

ამ მატჩამდე ერთი დღით ადრე ბარსელონასა და ჩელსის დაპირისპირებაში ჰიდინკმა ყრუ დაცვითი ტაქტიკა აირჩია, რის გამოც სპეციალისტთა კრიტიკა დაიმსახურა. ვენგერი და ფერგიუსონი ამბობდნენ, რომ ფეხბურთის თამაში რისკის გარეშე არ შეიძლება. თუმცა, თუ რისკავ, ამას გამართლება უნდა ჰქონდეს. ვენგერმა, ჰიდინკისგან განსხვავებით, მანჩესტერს ღია ფეხბურთი შესთავაზა. და შედეგად რა მიიღო? არსენალმა ერთი ნორმალური საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნა ვან დერ სარის კართან. სამაგიეროდ, ალმუნის კარში, სულ მცირე, სამი გოლი მაინც უნდა გასულიყო. ესპანელმა მეკარემ საოცრებები მოახდინა. და როცა არენალს ალმუნისას საოცრებებიც არ ეყო, გუნდი კარის ზედა ძეღმა იხსნა.

სერ ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერის მთავარი

მწვრთნელი): ცხადია, იმედგაცრუებული ვარ. გაცილებით დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, თუმცა მეტოქე გუნდის მეკარემ რამდენიმე მკვდარი ბურთი მოხსნა. უკმაყოფილო ვარ შედეგით ასეთი თამაში შემდეგ, თორემ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მატჩის დაწყებამდე ღიად განვაცხადე, რომ ჩვენთვის უპირველესი მიზანი საკუთარი კარის მშრალად შენახვაა და მხოლოდ ამის შემდეგ გოლის გატანა. ასე რომ, შედეგის ცეცხლი უნდა მივუღებო. ფინალში გასვლის რეალური შანსი გვაქვს. ვენგერი კი ალბათ დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ დღეს მისი გუნდისთვის კარგი დღე იყო. ბოლოს და ბოლოს, ისეც შეიძლება მომხდარიყო, რომ განმეორებით მატჩს საერთოდ დაეკარგა აზრი. ახლა კი არსენალმა შანსი შეინარჩუნა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ფინალის საგოლე მომენტებზე, თუმცა, ეტყობა, ასეთია ჩვენი გუნდის ბედი. წინა ეტაპზეც ხომ ასე გამოვიდა. პორტუსთან პირველი შეხვედრა რთული გამოდგა. რაც შეეხება გოლს, ოში პროფესიონალია და გააკეთა ის, რაც ევალემა ფეხბურთელს. ის ხშირად ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, თუმცა დღეს ვენდ და არ შემცდარვარ. ითამაშებს თუ არა შემდეგ მატჩებს ძირითადში, არ ვიცი. ცხადია, დღევანდელი გოლის შემდეგ უნდა გიპასუხოთ, ითამაშებს-მეთქი, მაგრამ ამას დრო გვიჩვენებს.

კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერის ფორვარდი): გამარჯვება ყოველთვის მნიშვნელოვანია, ასე რომ, მეც კმაყოფილი ვარ. ვიცო-

დით, რომ კიდევ შეგვეძლო გატანა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ახლა ჩვენი ამოცანაა განმეორებით მატჩში ერთი ან ორი გოლი გავიტანოთ. დღეს მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ვფლობდით. არსენალი დიდებული გუნდია, პასის მაღალი კულტურით, მაგრამ დღეს მეტოქეს ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნია. დარწმუნებული ვარ, განმეორებით მატჩში გატანას შევძლებთ, თუმცა, პატივისცემით უნდა მივუღებო არსენალს, რომელსაც კარგი მწვრთნელი და მოთამაშეები ჰყავს.

არსენ ვენგერი (არსენალის მთავარი მწვრთნელი): ეს იყო ურთულესი მატჩი, რომელიც გუნდებმა მაღალ ტემპში ითამაშეს. მეტოქემ უკეთ დაიწყო თამაში და საგოლე მომენტების თვალსაზრისითაც გვაჯობა. დადებითი კი ის არის, რომ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით. მერწმუნეთ, განმეორებით შეხვედრაში სულ სხვა არსენალს იხილავთ. ვინ გავაფინალში, ჯერ უცნობია. ცხადია, ყველაფერს ლონდონური მატჩი გადამწყვეტს. რა თქმა უნდა, ახლა მონინალდმდე გუნდს შეუძლია თქვას, რომ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და არ გაუმართლათ. ჩვენ ვუპასუხებთ, რომ სწორედ ჩვენი უიღბლობის გამო შეიქმნა ეს საგოლე მომენტები. მანუელ ალმუნია შეუღარებელი იყო. თამაშის ყველა ეპიზოდში მან უმაღლესი დონის ოსტატობა გამოავლინა. ის კარგად კითხულობდა თამაშს და იღებდა სწორ გადაწყვეტილებებს. ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა კირან გიბსმა. ის ახალგაზრდაა და დარწმუნებული ვარ, მისგან ბრწყინ-

ვალე მარცხენა მცველი დადგება. შეხვედრის პირველი ოცი წუთის შემდეგ თამაში გათანაბრდა. შესაძლოა ვიღაცა სხვანაირად ფიქრობს, მაგრამ ობიექტურები ვიყოთ. სწრაფმა გოლმა მანჩესტერს საყვარელი ფეხბურთის თამაშის საშუალება მისცა. თუმცა არაფერია. განმეორებითი მატჩი ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს. ჩვენ გავიმარჯვებთ და ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი მოგება, რომელიც არსენალს მანჩესტერთან ექნება მოპოვებული. ფსონზე ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი დევს.

მანუელ ალმუნია (არსენალის მეკარე): პირველ ტაიმში გვიჭირდა, რადგან მანჩესტერი დიდი ძალებით გვიტევა. ასე რომ, მე დიდი საშუალო მქონდა, მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო. ჩვენ ხომ ოლდ ტრაფორდზე გვინებდა ასპარეზობა. მასპინძელთა რიგებში არაერთი დიდებული ფეხბურთელი თამაშობს, რომლებიც ყოველთვის წინ მიიწვევენ. შესვენების შემდეგ მანჩესტერს დალლა დაეცო, არსენალმა კი აჩვენა, რომ მისი დამარცხება შეუძლია. დარწმუნებული ვარ, ლონდონში სულ სხვა ფეხბურთი იქნება. ახალგაზრდა გუნდი გვყავს და დავამტკიცებთ, რომ ფინალში თამაშს ვიმსახურებთ. დღეს მანჩესტერმა გვაჯობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თამაში იყო. ფინალის ბედი კი ორრაუნდიან დაპირისპირებაში ირკვევა. მთავარია, რომ შანსი შევიწინარჩუნოთ და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზები ღას ვეზასში იკვეთება

დღესთვის დაგეგმილი
ორთაბრძოლის წინ ოთხი
სხვადასხვა წონითი
კატეგორიის ყოფილმა
მსოფლიო ჩემპიონმა,
ფილიპინელმა მენი პაკიომ
(48 გამარჯვება, აქედან 36
ნოკაუტით, 3 წაგება და 2 ფრე)
და ორი სხვადასხვა წონითი
კატეგორიის ასევე ყოფილმა
მსოფლიო ჩემპიონმა
ბრიტანელმა რიკი ჰატონმა
(45 გამარჯვება, აქედან 32
ნოკაუტით და 1 წაგება) ღას
ვეზასში, დასკვნით
პრესკონფერენციაზე,
სრულიად საკრივო სამყაროს
უხმეს და მათ საკუთარი
მზადყოფნა ამცნეს.



ორთაბრძოლისთვის მზად
ვარ. ვიცი, რომ ჰატონი თავდა-
უზოგავად ემზადებოდა ჩემ-
თან შესახვედრად. მე მას პა-
ტივს ვცემ, კარგი და სასიამო-
ვნო ვინმეა. ამასთან, ყველას გა-
საგონად ვაცხადებ, რომ ჩვენს
შორის არაფერია პირადული, -
ამბობს პაკიომ, - უბრალოდ,
გვინდა ჩვენი საქმე გავაკეთოთ
- მაყურებელს კარგი ორთაბრ-
ძოლა შევთავაზოთ და ვასია-
მოვნოთ. რაც შეეხება ფილიპი-
ნელებს, რომლებიც ჩემს გა-
მარჯვებას ელიან, ვპირდები,
რომ ყველაფერს გავაკეთებ ჩე-
მი ქვეყნის სასახელოდ. განსა-
კუთრებით დიდ მადლობას
ვუხდები ჩემს მეუღლეს ჯინკის
და დედაჩემს, რომლებიც ჩემი

ორთაბრძოლის საცქერად ჩა-
მოვიდნენ .
პაკიომ არც ჰატონი ჩა-
მორჩა. არ მაინტერესებს, უმ-
რავლესობა რას ფიქრობს. დაე,
ეგონოთ, რომ წარმატებას პა-
კიომ მიაღწევს.
ვფიქრობ, არჩევანი უკვე
გააკეთეთ. კარგად ვიცი, რასაც
ამბობენ. მათი მოსაზრება არ
მაშინებს. ამ არენაზე პირვე-
ლად არ ვჩხუბობ. რატომღაც

აქ აუტსაიდერად მთვლიან.
მსმენია, როგორ ამბობენ, რომ
საკუთარ თავს რეკლამა გავუ-
კეთე და გაზულუქებული ინგ-
ლისელი ლუდის მოყვარული
ვარ.
რაც არ უნდა იფიქროს,
ისევე ვაპირებ მსოფლიოს გაო-
ცებას. ეს ის წონაა, სადაც თავს
კომფორტულად გვრძნობ. იმა-
საც ვაცნობიერებ, ჩემზე ასეთ
ფსონებს რატომ ჩამოდიან. ეს

მას შემდეგ გახდა თვალშისა-
ცემი, რაც პაკიომ, წონითი კა-
ტეგორიების მიუხედავად, აღი-
არეს მსოფლიოს საუკეთესო
მოკრივედ და გამარჯვება მოი-
პოვა ოსკარ დე ლა ჰოიაზე.
კრივის სამყარომ ჩვენს ორ-
თაბრძოლას დასავლეთისა და
აღმოსავლეთის შერევა
უნდა. ორი სამყაროს გზები
შაბათს გადაიკვეთება .

“შალკეს” მაგათი განვრთნის?
მიმდინარე სეზონის შემდეგ შესაძლოა ლევან
კობიაშვილისა და ლევან ყენიას “შალკე”
“ვოლფსბურგის” თავკაცმა ფელიქს მაგათმა
ჩაიბაროს. ამ ინფორმაციას გერმანული მედია
ავრცელებს.
გუნდიდან ფრედ რუტენის გათავისუფლების
შემდეგ გელზენკირხენული კლუბი მიკე
ბიუსკენის, იური მიულდერისა და ოლივერ რეკის
სამეულმა ჩაიბარა, თუმცა, ეს მაინც დროებითი
მოვლენაა და შალკელები ახალი მწვრთნელის
ძიებაში არიან.
მაგათის ხელმძღვანელობით “ვოლფსბურგი”
ჩინებულ სეზონს ატარებს და ბუნდესლიგის
მოგების უმთავრესი ფავორიტია, ასე რომ,
გელზენკირხენელთა ინტერესი სრულიად
გასაგებია.

**პერესი საარჩევნო კამპანიას
აგრძელებს**
მადრიდის “რეალის” ყოფილი და სავარაუდოდ
მომავალი პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი
საარჩევნო კამპანიას აგრძელებს და
გულშემატკივარს სულ ახალ-ახალი
ვარსკვლავების შეძენას ჰპირდება. იტალიური
მედის ინფორმაციით, გასულ კვირაში პერესი
“ინტერის” ვარსკვლავს ზლატან იბრაჰიმოვიჩს
პირადად შეხვედრია და, “რეალში” გადასვლის
შემთხვევაში, შეედს 17-მილიონიან ყოველწლიურ
ანაზღაურებას შეჰპირებია. შეთავაზებაზე
სკანდინავიელი ფორვარდის პასუხი ჯერჯერობით
უცნობია.
“ინტერი” “იბრას” გაყიდვაზე უარს არ ამბობს,
თუმცა შეედის სატრანსფერო თანხა საკმაოზე
დიდია. მილანელებმა ზლატანი 100 მილიონ ევროდ
შეაფასეს.

ელანუ “სიტიში” დარჩება
ინგლისის “მანჩესტერ სიტის” ბრაზილიელი
ნახევარმცველი ელანუ კლუბთან კონტრაქტის
გასაგრძელებლად მზადაა.
“მანჩესტერულ კლუბში ძალიან ბედნიერი ვარ.
მსოფლიოში უძლიერეს საფეხბურთო ჩემპიონატში
გამოვდივარ და ეს მომწონს. ასე რომ, “სიტიში”
გამოსვლა ისევე მინდა. დიდი იმედი მაქვს, რომ
გუნდთან მრავალწლიან კონტრაქტს გავაფორმებ,”
- ამბობს ფეხბურთელი.

სალიჰამიჯიჩი ბრუნდება
ტურინის “იუვენტუსის” ბოსნიელმა
ფეხბურთელმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა, რომელსაც 8
აპრილს მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, ვარჯიში
განაახლა. ტურინელთა ოფიციალური ვებგვერდის
ცნობით, სალიჰამიჯიჩმა მარჯვენა მუხლი
“კიევისთან” მატჩში დაიშავა და იტალიის სერია A-
ს სამი ტური გამოტოვა.
ინდივიდუალური პროგრამით დაიწყო მზადება
ჯორჯო კიელინიმ და ალბინ ეკდალმა, ხოლო
ნიკოლა ლეგროტალიე და კრისტიან მოლინარო
საერთო ჯგუფს დაუბრუნდნენ.

**“ჩელსიმ” ჰიდინკის შემცვლელად
ბილიჩი შეიგულა**
ხორვატიის ფეხბურთელთა ეროვნული
ნაკრების მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი
უახლოეს მომავალში შესაძლოა ლონდონის
“ჩელსის” თავკაცი გახდეს.
სეზონის ბოლოს გუს ჰიდინკი “ჩელსის”
დატოვებს და მთელ თავის დროს რუსეთის ნაკრებს
დაუთმობს. ბილიჩის კანდიდატურა კლუბის
მესვეურებს თავად ჰიდინკმა შესთავაზა.
ბრიტანული მედია იუწყება, რომ ლონდონური
კლუბის აღმასრულებელი დირექტორი პეტერ
კენიონი ფეხბურთის ახალგაზრდა სპეციალისტს
უკვე ესაუბრა.
ჰიდინკის მოსაზრებით, “ჩელსის” მთავარი
მწვრთნელის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურა
სწორედ ბილიჩია, რომლის ხელმძღვანელობით
ხორვატიის ნაკრები რუსებს 2008 წლის ევროპის
ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაში
დაეხმარა.

მაშინ ბილიჩის ხორვატიის ნაკრებმა, რომელსაც
ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში
განაღებულ იქონია, “უემბლიზე” შეძლო
ინგლისის ნაკრების დამარცხება, რითაც ჰიდინკის
მიერ დარიგებულ რუსეთის ნაკრებს კონტინენტის
პირველობისკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქი
აუთნო.
ამის შემდეგ ბილიჩს რამდენიმე ბრიტანული
კლუბი სთავაზობდა სამუშაოს, მაგრამ ხორვატმა
სპეციალისტმა სარფიან გარიგებებზე თქვა უარი.
თუმცა ბილიჩს, მაღალანაზღაურებადთან ერთად,
პრესტიჟულ სამუშაოსაც შესთავაზებენ და
შესაძლოა მან ცდუნებას ვერ გაუძლოს.

ანტიდოპინგურმა სააგენტომ დოპინგი გადათვალა

გამულავნდა იმ სპორტსმენთა
ვინაობა, რომლებსაც პეკინის
ოლიმპიური თამაშებისთვის
აკრძალული პრეპარატი
მიუღიათ. ვარაუდი, რომ
ექვსმა ათლეტმა დოპინგის
დახმარებით მიაღწია
წარმატებას, გამართლდა.
ერთი სიტყვით, ბევრი რამ
თავდაყირა დადგა. კერძოდ,
დოპინგ სინჯი A-ს
განმეორებითი შემოწმებისას
აღმოაჩნდათ ახალი თაობის
ერთიორთოეტივის - CERA-ს
შემცველობა.



შტეფან შუმახერი ერთ-ერთი კანონდამრღვევია

მსოფლიო ანტიდოპინგური
სააგენტოს (WADA) კოდექსის
ამჟამად დარღვევის მიუხედა-
ვად, მათი სახელები B სინჯის
შემოწმებამდე ეროვნულმა
ოლიმპიურმა კომიტეტებმა გა-
ახმოვანეს.
სააგენტოს ცნობით, კანონ-
დამრღვევთა შორის ორი
ოლიმპიური ჩემპიონია. ორივე
მძლეოსანი. კერძოდ, ბაჰრეინის
სახელით მოასპარეზე რა-
შიდ რამზი, რომელმაც პეკინის
ოლიმპიურ ბილიკებზე 1500
მეტრზე იმარჯვა და ბერძენი
ანასტასია ცუმელეკა, რომელ-
მაც 20 კილომეტრზე სპორ-
ტულ სიარულში მეცხრე ადგი-
ლი დაიკავა. ჩემპიონები კი
ვასსენეტი, მაგრამ აქვე განვ-
მარტავთ, რომ ბერძენმა მძლე-
ოსანმა ოთხი წლით ადრე, ათე-
ნის ოლიმპიურ თამაშებზე მო-
იპოვა ოქროს მედალი.
მესამე მძლეოსანი, რომელ-
საც CERA-ს მიღება ბრალდე-
ბა, ხორვატი ვანია პერიშიჩია -
800 მეტრზე პირველივე წრეს
გამოეთიშა.

დანარჩენი სამი კანონდამ-
რღვევი გახლავთ იტალიელი
ველომობლი დავიდე რებე-
ლინი (პეკინის ოლიმპიური თა-
მაშების ვერცხლის მედალოსა-
ნი ჯგუფურ რბოლაში), გერმა-
ნელი ველომობლი შტეფან
შუმახერი (მეცამეტე ადგილი
ინდივიდუალურ რბოლაში) და
დომენიკელი ძალოსანი
იადელიკუს მარიდალინი (მე-

ხუთე ადგილი 53 კგ-მდე წონა-
ში).
ერთი სიტყვით, პეკინის
ოლიმპიურ თამაშებზე 16 და-
დებითი სინჯი აღმოაჩინეს,
აქედან 15 - სპორტსმენის.
თითოეული სინჯი, რომე-
ლიც თამაშების მსვლელობი-
სას აიღეს, რვა წლის განმავ-
ლობაში ხელუხლებელი იქნება,
რათა საერთაშორისო ოლიმპი-

ურ კომიტეტს საშუალება მიე-
ცეს ძველი სინჯები გადაამოწ-
მოს - აკრძალულ პრეპარატთა
გამოვლენის ახლებური მეთო-
დებით გამოსავლენად. ტესტი-
რების ბოლო რაუნდი იანვარში
დაიწყო. შეამოწმეს ნიჩბოსნე-
ბი, მოცურავეები, ველომობო-
ლები და მძლეოსნები.

elite 2009
MODEL LOOK
GEORGIA

GET TO THE TOP
2009

დაიპყარი მწვერვალში!
გახდი მოდელი!

საკრიზო ფონდი
\$275 000

Tamar Shekalia - Elite Model Look Georgia 2007



Elite Model Look Georgia 2009

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-იგინვეთ საერთაშორისო სამოდელო ჯონჯახს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა უვანგელისა, სტეფანი სეიმუხი, ელენა შიფეი, სინდი ჯოუფოხი - მათ აიხრებს Elite Model Look-ი და გახდენ კოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადით პიჩვილი ნაბიჯი კოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნა Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის ჯონჯახ-ქტი სააგენტო ელიტთან და **\$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა ჯოჯაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და ნახმატებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო ჯიჯახს.

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნოზაძის №6 ყოველღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge



Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008



**თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს**

კლინიკა

"ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქარავე საოპერაციო

ბლოკით

SLT-ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

**დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის
და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:
ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სკოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;



1 მარტიდან

საქალაქო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



JOHN DEERE

საუკეთესო ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

სერვის პარტნიორი

☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

თავბატა მოტორსი

ბანცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შპს "თბილისის მეტრო"-ს მიერ ტენდერის ჩატარების შესახებ, 2009 წლის 29 აპრილის გაზეთში "24 საათი" შემომყვანი კაბელების აღდგენის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული განცხადების მე-8 პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიობის საქმის წარმოება.

რეობს გადახდისუნარიობის საქმის წარმოება.

ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დანებებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიობის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდი-

ულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 18 მაისის 15 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამეა შემსყიდველის მოთხოვნებს.

სატენდერო კომისია
1 მაისი 2009 წელი

2009 წლის 5 მაისს სს "საქართველოს საზღვაო" ბანკი, ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით აცხადებს საჯარო აუქციონს. გასაყიდად გატანილი იქნება ბანკის საკუთრებაში არსებული ოქრო, კერძოდ:

1. 375 სინჯის 2899.6 გრამი * 10\$ = 28996\$.
2. 500 სინჯის 1638.9 გრამი * 19\$ = 31139.1\$.
3. 583 სინჯის 25649.6 გრამი * 22\$ = 564291.2\$.
4. 750 სინჯის 177.1 გრამი * 25\$ = 4427.5\$.
5. 900 სინჯის 1005.5 გრამი * 28\$ = 28154\$.
6. 958 სინჯის 1052 გრამი * 34\$ = 35768\$.

7. ბრილიანტებში და ნაკეთობებში გადატანილები 64209\$ ღირებულების

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 5 მაისს 12 საათზე. სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. N33.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2009 წლის 5 მაისის 11სთ-სა და 30წუთამდე, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. N33.

ყველა სხვა პირს რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდად გატანილ ოქროს ნივთებზე ვალდებულნი არიან ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფ: 7-60-03.

სს "საქართველოს საზღვაო" ბანკის სააუქციონო კომისია

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

ქ. ონში, ვახტანგ VI-ის ქუჩის I შესახვევი №2-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობისა და მასზე დამატებული მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით

№	მისამართი	დასახელება	მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	საწიქისი გასაყიდი ფასი(დოლარი)	"ბიჯი" (დოლარი)	"ბუ" (დოლარი)
1	ქ. ონი, ვახტანგ VI-ის ქუჩის I შესახვევი №2	№1 ბიბლიოთეკა	270	8075	75	1000

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქიზებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ავტონომიური თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ დასახელებული საბაზო განმოსაყიდი თანხა.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია აუქციონის რეგისტრატორს წარმოუდგინოს:

1. დამტკიცებული ფორმის მხედვით შევსებული განაცხადი.
2. "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. აუქციონში მონაწილეობის ბიდეის ფასის (5დარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსერო ასლი.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბილი მდგომარეობით)
6. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ შეიძლება მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონი ჩატარდება ინფორმაციის გასუთში გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს. აუქციონში გამარჯვებულს გამოუდგინოს კრიტერიუმის საწიქის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომისისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს მისამართზე: ქ. ონი, დ. აღმაშენებლის მოედანი №1.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომისისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

ბანკსადასა ტენდერის ჩატარების შესახებ

მარტივის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. მარტივი, თავისუფლების ქ.№10) აცხადებს ტენდერს 6 ლოტად ხიდ-ბოგორების მშენებლობა-შეკეთებაზე (რეაბილიტაციაზე) სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტორს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი - 1.
მარტივის მუნიციპალიტეტის დიდი ყყონი - სენაკის საავტომობილო გზაზე (თარგამულში გადასასვლელ გზაზე) მდ. ტეხურზე სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია.

ლოტი - 2.
მარტივის მუნიციპალიტეტის დიდი ყყონი - კინის საავტომობილო გზაზე მდ. ჩხოუშიაზე სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია.

ლოტი - 3.
მარტივის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაღდაში მდინარე ჩერის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი - 4.
მარტივის მუნიციპალიტეტის სოფ. გურძემში მდ. გურძემიაზე საცალფეხო ხიდის სამშენებლო სამუშაოები.

ლოტი - 5.
მარტივის მუნიციპალიტეტის სოფ. თამაკონის თარგამულის უბანში სწორკუთხა მილის (ზვრ, 4,0X2,4მ) რეაბილიტაცია.

ლოტი - 6.
მარტივის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაღფსასოსთან მდ. აბაშაზე ლითონის ხიდის რეაბილიტაცია.

სამუშაოების შესრულების ვადა - 5 თვე.
2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დალუქული კონვერტის სახით ერთ ეგზემპლარად (დედანი) სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ. მარტივი, თავისუფლების ქ. №10, მარტივის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ტელ: 890801580.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მოთხოვნის შემთხვევაში.

ნისთანავე, 2009 წლის 01 მაისიდან 2009 წლის 23 მაისამდე.
4. სატენდერო მოსაკრებლის რაოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, საქართველოს ეროვნული ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 300353174.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

- იურიდიული პირებისათვის:**
 - შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
 - ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან.
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მისი მისამართით არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (გვარი, სახელი, მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან გაკოტრებისა ან სანაცის საქმის წარმოების შესახებ.

ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესრულებული ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 70%. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;
შენიშვნა: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინოს თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.
პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 18 მაისის 13 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან, თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამეა შემსყიდველის მოთხოვნებს.
9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე დამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: თინათინ შუბითიძე, გიორგი ჩიღვინაძე, ინგა ხვედელიძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტრო" www.metro.ge

ბანკსადასა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2. 2009 წლის სანარმო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **სამშენებლო მასალების** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 10 ლოტად შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2 და/ან ვებ. გვერდზე www.metro.ge

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. **დაცული უნდა იქნეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქონლის მინოდების გრაფიკი და მისი შენიშვნა.**

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლება, 100 (ასი) ლარის ოდენობის ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ. სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 18 მაისის 13 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარან-

ტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 18 მაისის 13 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- იურიდიულ პირთათვის:**
 - ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება.

ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელე-

ნოს ინფორმაცია შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დამკვეთისა და სახელწერულეზო ღირებულების მითითებით.

